საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 4 დეკემბერი. 2019 წ. №239 (8905) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ნატოს ტვინი არ მომკვდარა!..

მოკავშირეების ერთიანობის საკითხის ეჭვქვეშ დაყენება არ შეიძლება , — ასე გამოეხმაურა გუშინ ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ, რამდენიმე კვირის წინ ალიანსის მისამართით გამოთქმულ კრიტიკას.

„არ ვეთანხმები, განსაკუთრებით მაშინ, თუ უფრო ახლოდან დავაკვირდებით. ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ალიანსი მუმდივად ერთად ვმოქმედებთ, ალიანსი აქტიურია“.

იენს სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ მოკავშირეებმა არასდროს უნდა დააყენონ ეჭვქვეშ ერთიანობა და ერთმანეთის დაცვის თავისუფლება.

„რადგან ნატოს მიზანია მსოფლიოს დაცვა და კონფლიქტების თავიდან აცილება, ნებისმიერი პოტენციური მოწინააღმდეგისთვის სიგნალის გაგზავნა, რომ თავდასხმის შემთხვევაში, მთელი ალიანსი დაიცავს მას“, — განაცხადა ალიანსის გენერალურმა მდივანმა.

შეგახსენებთ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გამოცემა „ეკონომისტთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ნატო „ტვინის სიკვდილს“ განიცდის, ევროპას კი საკუთარი სამხედრო ძალების შექმნა სჭირდება.

იხ. 2 გვ.

საქართველოში მოსწავლეების ცოდნის დონე გაუარესდა!

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) ფარგლებში ჩატარებული კვლევის თანახმად, 2015-დან 2018 წლამდე პერიოდში საქართველოში, სხვადასხვა სფეროში მოსწავლეების ცოდნის დონის მაჩვენებელი გაუარესდა.

კერძოდ, კვლევის თანახმად, 2018 წელს კითხვაში მოსწავლეებმა 380 ქულა მიიღეს, 2015 წელს კი, ეს მონაცემი 401 იყო. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საშუალო მაჩვენებელი კი 487-ია.

რაც შეეხება მათემატიკას, ამ მიმართულებით საქართველოს 398 ქულა აქვს, წინა წელს კი, 404 ჰქონდა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მაჩვენებელი არის 489.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საქართველოს მაჩვენებელია 383, წინა, 2015 წლის კვლევის თანახმად კი, ეს მონაცემი 411-ს შეადგენდა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საშუალო მაჩვენებელი 489-ს შეადგენს. ბოლო სამწლიანი კლების მიუხედავად, 2009-2019 წლის პერიოდში სამივე ამ მიმართულებით საქართველოს მოსწავლეებმა პროგრესი აჩვენეს.

რა უნდა ვაქა გაფრინდა-შვილს?



4

რას გვიქადის სოხუმის პორტის დალრმავება

8

სივრცეში განფენილი ფორმების ზეიმი



5

არქიტექტორისა და მხატვრის გია ხეჩინაშვილის გამოფენა არის სიცოცხლის ჰიმნი და მეგობრობის კიდევ ერთი საუცხოო მაგალითი.

გიორგი გახარია:

სახელმწიფო სამოქალაქო დაპირისპირებას არ დაუშვებს

3

6

თამაზ ნატროშვილი

ეგრე არ არი, თაყაო...

7

„1939-ში მთელ საბჭოთა კავშირს, შეიძლება ითქვას, აკონტროლებდნენ ქართველები და მეგრელები“, საამისოდ ავტორს ჩამოუთვლია: ლავრენტი ბერია, სერგო გოგლიძე, მიხეილ გვიშიანი, ლავრენტი ცანავა, ალექსი საჯაია.

საქართველოში ახლა იმაზე მეტი ნატოა, ვიდრე ოდესმე ყოფილა

ნატოს **გენერალური მდივანის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ძალაშია 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, რომ საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები გახდებიან. ამის შესახებ სტოლტენბერგმა ლონდონში, ნატოს კონფერენციაზე დასმული ერთ-ერთი კითხვის საპასუხოდ განაცხადა.**

იენს სტოლტენბერგი ნატოში გაწევრიანების კონკრეტულ თარიღს არ ასახელებს და ამბობს, რომ ნატო ფოკუსირებულია საქართველოსა და უკრაინის დახმარებაზე, რათა მათ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე წინ წაიწიონ.

<u>დონალდ ტრამპი:</u> ნატოს წევრებმა თავდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის ოთხი პროცენტი უნდა დახარჯონ!

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებით, ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა თავდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის ორი პროცენტის ნაცვლად, ოთხი პროცენტი უნდა დახარჯონ. ამის შესახებ განცხადება დონალდ ტრამპმა ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრის დროს გააკეთა.

ამავე დროს ტრამპმა განაცხადა, რომ ის კმაყოფილია, ბოლო წლებში ნატოს მოკავშირეები სამხედრო ხარჯებს ზრდიან, თუმცა ეს საკმარისი არ არის.

„სამხედრო ხარჯები ევროპასა და კანადაში მრავალი წლის მანძილზე იკლებდა. ახლა ეს ხარჯები იზრდება და აშშ კმაყოფილია. ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა ამისთვის ბევრი იშრომა“, — განაცხადა ტრამპმა. ტრამპმა ასევე განაცხადა, რომ ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის ხარჯები უფრო სამართლიანად უნდა განაწილდეს.

<u>ანჯეი დუდა:</u> საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ...

საქართველოსა **და უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის გამაგრება ალიანსის უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო,** — ეს განცხადება ლონდონში მიმდინარე კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლის დროს პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ გააკეთა.

მისი თქმით, ეს ნაბიჯი პოლონეთისთვის და ბალკანეთის სახელმწიფოებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო. „ჩვენი მიზანია, ნატო იყოს ძლიერი და ერთიანი. ნატოს მთავარი მიღწევა ბოლო წლებში იყო აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2008 წელს რუსეთი ჯერ საქართველოში შეიჭრა, შედეგ კი 2014 წელს უკრაინაში. ამის შემდეგ ნატომ გააძლიერა წარმომადგენლობა აღმოსავლეთ ფლანგზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო“.

მაპის პირობები, ფაქტობრივად, დაკმაყოფილებული გვაქვს

„ნატო-საქართველოს **პაკეტის თავსებადობაში მოყვანა ახალ გამოწვევებთან და ახალ რეალობასთან იქნება პრიორიტეტული საკითხი. საქართველო მაქსიმალურად გამოიყენებს პრაქტიკულ ინსტრუმენტებს, ყოველწლიურ პროგრამას, რაც პრაქტიკულად მაპის თავსებადია. ჩვენ ისეთ დონეზე ვასრულებთ ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას, რომ, ფაქტობრივად მაპის პირობები დაკმაყოფილებული გვაქვს. ამ მიმართულებით გაგრძელდება 2020 წელსაც სვლა. ნატო-საქართველოს კომისიის კონტექსტში გვექნება ინტენსიური და ორმხრივი დიალოგი“,** — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა. მინისტრის განმარტებით, 2020 წელს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება იქნება პრიორიტეტული. ასევე, ყველა ნატოელ პარტნიორთან ორმხრივი ურთიერთობის გაძლიერება.

„ეს არის ის პროგრამა მინიმუმი, რომელიც ჩვენ გვაქვს 2020 წლისთვის დასახული. ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ქვეყანა იყოს მზად იმ მომენტისთვის, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება მომწიფებული. ჩვენ უკვე ვმოქმედებთ, როგორც ნატოელი პარტნიორი. ეს არ არის ჩემი სიტყვები. ეს არის ის შეფასებები, რომლებსაც ვისმენთ ნატოს მინისტერიალებზე და უმაღლესი დონის შეხვედრებზე. ჩვენ უნდა ვიყოთ ნებისმიერ მომენტში მზად იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებისათვის, რომელიც დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად დადგება“, — აღნიშნა მინისტრმა.

<u>მაია ცქიტიშვილი:</u> ანაკლიის პორტზე უსასრულოდ არ უნდა გაგრძელდეს უპასუხისმგებლო ინვესტორთან თანამშრომლობა...

შიდა **კაპიტალის შევსებისა და სასესხო ხელშეკრულებების ხელმოწერის ვადა 16 დეკემბერს იწურება, წლის ბოლომდე კი უნდა მოხდეს ე.წ. ფინანსური დახურვა,** — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა ანაკლიის პროექტთან დაკავშირებული საკითხის კომენტირებისას აღნიშნა. მისივე თქმით, ამ ეტაპისთვის ჯერ არ არის კონსორციუმისგან რაიმე დამატებითი ინფორმაცია ინვესტორების შესახებ.

„რაც შეეხება ვადებს, არ მინდა შევიდე ზედმეტ შეფასებებში, მაგრამ საკმაოდ რთული პროცესია და ცოტა დროა დარჩენილი, რათა ყველა ვალდებულება შესრულდეს. 31 დეკემბერი არის ის ვადა, როდესაც იწურება ხელშეკრულების მორიგი გახანგრძლივება და მას შემდეგ, უკვე განვახორციელებთ ქმედებებს, რომელიც დადგენილია ხელშეკრულებით. პრაქტიკულად, ორი წლით გახანგრძლივდა ვადა, რომელიც გამოყოფილი იყო პროექტის განხორციელებისთვის და იმის გათვალისწინებით, რომ უკლებლივ ყველანი ვთანხმდებით, ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენ გვაქვს კიდევ ის პასუხისმგებლობაც, რომ უსასრულოდ არ გაგრძელდეს იმ ინვესტორთან თანამშრომლობა, რომელსაც სამწუხაროდ, აქვს სირთულეები ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით“, — აღნიშნა მაია ცქიტიშვილმა.

ლონდონის **გარეუბან უოტფორდში მდებარე სასტუმრო „Grove Hotel“-ი მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრშია. დღეს აქ გაიმართება ნატოს წევრი ქვენების ლიდერთა სამიტი, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაარსების საიუბილეო თარიღს, ნატოს 70-ე წლისთავს ეძღვნება.**

შესაბამისად, ალიანსის ლიდერთა შეხვედრის პირველი დღე მთლიანად საზეიმო იქნება. გუშინ ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ლიდერებს დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე უმასპინძლებს ბუკინგემის სასახლეში დაგეგმილ წვეულებაზე. დღეს კი 29 ქვეყნის ლიდერები გადაინაცვლებენ სასტუმრო „Grove Hotel“-ში, რომელსაც სხვა ფეშენებელური სასტუმროებისგან ისიც განასხვავებს, რომ ლონდონის გარეუბანში მდებარეობს და თანაც იოლი დასაცავია მის გარშემო არსებული 300 აკრის ფართობის (კილომეტრნახევრიანი) პარკის გამო, შენობას რომ ეკვრის.

ადრინდელის მსგავსად, ნატოს ლონდონის სამიტიც რუტინული დღის წესრიგით ჩაივლის: ოთხშაბათს, გამთენიისას გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ჩაატარებს სახელდახელო ბრიფინგს, ერთმანეთის მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ნატოს ლიდერები ოპერატიულად გადაიღებენ სამახსოვრო, ე.წ. ოჯახურ ფოტოს და მხოლოდ ამის შემდეგ უკვე დახურულ კარს მიღმა იმსჯელებენ იმ მიღწევებსა და პრობლემებზე, რომლებითაც ჩრდილოატლანტიკური ოჯახი ხვდება თავის იუბილეს.

მათზე უკვე ისაუბრა იენს სტოლტენბერგმა, ლონდონში გამგზავრების წინა ბრიფინგზე ბრიუსელში და, სავარაუდოა, რომ ამ მესიჯებს იგი კიდევ არაერთხელ გაიმეორებს ნატოს სამიტის დროს.

პირველ ყოვლისა, ესაა შიდა უთანხმოების მუდმივი პრობლემის მოგვარების პოზიტიური ტენდენცია — მოკავშირეების მიერ თავდაცვითი დანახარჯების მნიშვნელოვანი გაზრდა. 2019 წლისთვის ევროპელი მოკავშირეების და კანადის მიერ თავდაცვის მიზნით გამოყოფილი დაფინანსების ზრდამ ჯამში შეადგინა 4,6%, ხოლო 2016 წლიდან მოყოლებული, ეს ზრდა რიცხვებში უდრის 130 მილიარდ დოლარს. შედარებისათვის — მარტო ეს თანხა ორჯერ აღემატება რუსეთის მიერ თავდაცვის ხარჯებისთვის შარშან გამოყოფილ 63 მილიარდ დოლარს, რაც დიდად არც წელს შეცვლილა.

და ეს მაშინ, როდესაც რუსეთი კვლავ რჩება საფრთხის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის, რომელიც, თავის მხრივ, „თავდაცვით, მოზომილ და კოორდინირებულ“ პასუხს უპირისპირებს რუსეთის მილიტარისტულ ქმედებებს, იქნება ეს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებიდან (INF) გასვლა, ახალი შეტევითი სარაკეტო სისტემების განვითარება, თუ მეზობელი სახელმწიფოების, საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ მიმართული აგრესია.

„ჩვენ ასევე ვხედავთ რუსეთს, რომელიც არა მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოების, საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიულ ქმედებებზეა პასუხისმგებელი, არამედ სამხედრო ძალები განლაგებული ჰყავს მოლდოვაში, ამ ქვეყნის მთავრობის თანხმობის გარეშე“, — განაცხადა 29 ნოემბერს იენს სტოლტენბერგმა.

მანამდე ალიანსის გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ შეახსენა ევროპელ მოკავშირეებს, რომ მხოლოდ ნატოა ის ერთადერთი პლატფორმა, სადაც ევროპას და ჩრდილოეთ ამერიკას ერთობლივად შეუძლიათ სტრატეგიული პრობლემების გადაჭრა.

„ევროკავშირს არ შეუძლია ევროპის დაცვა, ევროპული გაერთიანება ვერ ჩაანაცვლებს ტრანსატლანტიკურ კავშირს“, — განაცხადა რამდენიმე დღის წინ იენს სტოლტენბერგმა პარიზში, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან შეხვედრის დროს.

გასაგებია, თუ რატომ წარმოთქვა ეს სიტყვები ალიანსის გენერალურმა მდივანმა პარიზში.

სამი კვირის წინ საფრანგეთის პრეზიდენტმა მოულოდნელად განაცხადა, რომ ნატო განიცდის „ტვინის კვდომას“, რის გამოც ევროპამ საკუთარი თავის დაცვაზე თავადვე უნდა იზრუნოს.

მაგრამ ამ სკანდალური განცხადებების ავტორის გარდა, ნატოს ლონდონის სამიტზე ჟურნალისტების მთავარი ყურადღება ასევე მიპყრობილი იქნება აშშ-ის ლიდერის მიმართ.

ჯერ კიდევ ყველას ნათლად ახსოვს დონალდ ტრამპის დემარში ნატოს წინა, ბრიუსელის სამიტზე. მოკავშირეების მიერ გაღებული ფინანსური წვლილით უკმაყოფილო აშშ-ის ლიდერმა ივლისის სამიტის დასკვნით დღეს მოულოდნელად მოითხოვა გეგმით გაუთვალისწინებელი შეხვედრის ჩატარება მხოლოდ ალიანსის წევრებს შორის, რამაც, კულუარული ცნობით, უხერხული ვითარება შექმნა დარბაზში მყოფი უკრაინისა და საქართველოს ლიდერებისთვის.

დონალდ ტრამპმა შარშან ევროპელ მოკავშირეებს უთხრა, რომ ვაშინგტონის მხარდაჭერას დაკარგავდნენ, თუ არ გაზრდიდნენ თავდაცვით ხარჯებს.

და აი, დონალდ ტრამპი უკვე ლონდონშია და ჟურნალისტები, ცხადია, პირველ ყოვლისა, სწორედ იმის მოლოდინში არიან, თუ ამჯერად რა გზავნილი ჩამოიტანა მოკავშირეებისათვის აშშ-ის ლიდერმა, რომელიც 4 დეკემბერს, სამიტის დასრულების შემდეგ, მედიის შეკითხვებს უპასუხებს.

უკრაინელ და ქართველ ჟურნალისტებს, ტრადიციული, ნატოში ჩვენი ქვეყნების მიღება-არმიღების გარდა, კიდევ ერთ კითხვაზე გვაინტერესებს პასუხის მიღება. უფრო ზუსტად, ინფორმაციის შემოწმება, თითქოს თეთრი სახლი მომავალი წლისთვის ნატოს ბიუჯეტში თავისი წილის შემცირებას და დაზოგილი თანხით ევროპული ქვეყნების, მათ შორის, საქართველოსა და უკრაინის, უსაფრთხოების მხარდაჭერას, აპირებდეს.

კობა ლიკლიკაძე

ევროკავშირის ელჩს მთავრობასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების სწრაფი განახლება სურს

ევროკავშირის ელჩი საქართველოში, კარლ ჰარცელი ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას გამოეხმაურა. კომენტარი ელჩმა სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გააკეთა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია: „დაინახე, გაიგონე, გადადგი ნაბიჯი“ გაიმართა. ჰარცელმა დიალოგის აუცილებლობას გაუსვა ხაზი და ყოველგვარი ძალადობა დაგმო.

„შემდეგი შეხვედრა ჯერ დაგეგმილი არ არის. ჩემთვის ნათელია, რომ შემდეგი რაუნდი შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა ჩატარდეს. ევროკავშირი სხვებთან ერთად დიალოგს ხელს უწყობს. რაც მთავარია, მოხდა აზრების გაცვლა. დიალოგის პროცესი არის უმნიშვნელოვანესი და შემდეგ ნაბიჯებს ველოდებით. დაძაბულობის განსამუხტად დიალოგი ძალიან მნიშვნელოვანია. დასაგმობია ნებისმიერი სახის ძალადობა. დიალოგის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია აღვუდგეთ ძალადობას და ეს საკითხი მოგვარდეს. დიალოგის ყველა მონაწილემ უნდა გამოიტანოს დასკვნა, რას ნიშნავს აზრების გაცვლა და რას ნიშნავს ეს ჩვენი დიალოგისთვის“, — განაცხადა ჰარცელმა.

პიკეტოლოგიით შედეგი ვერ მიიღწევა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე საკითხის კომენტირებისას ოპოზიციის მიერ რეგიონებში დაანონსებულ საპროტესტო აქციებს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მათ შეუძლიათ, გააგრძელონ აქციები იქამდე, სადამდეც საჭიროდ მიიჩნევენ.

„ჩვენ მზად ვართ და ვაძლევთ ოპოზიციის ამ ნაწილს ნებისმიერ დროს, რამდენიც მათ სჭირდებათ და ჩათვლიან საჭიროდ, რომ გააგრძელონ აქციები. არ ვფიქრობ, რომ პიკეტოლოგიით და პიკეტოლოგების ხელმძღვანელობით რაც ხდება, ამით რაიმე კონკრეტულ პოლიტიკურ შედეგს მიიღებს ჩვენი ქვეყანა, შედეგს მივიღებთ მაშინ, თუ გავაგრძელებთ საუბარს, რომელიც უკვე დაწყებულია“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ამასთან, თალაკვაძის თქმით, საზოგადოებრივი წესრიგის მარეგულირებელ კანონმდებლობაში კონკრეტულად არის ჩამოთვლილი ღონისძიებები, რომლებიც შესაძლოა, პოლიციამ გაატაროს, რათა პროვოკაციები, ძალადობის ესკალაცია წინასწარ აღიკვეთოს.

„როდესაც პარლამენტთან იყო წარმოდგენილი სამართალდამცველების დიდი რაოდენობა, მედიის ნაწილი კრიტიკულად აშუქებდა ამ დღეებს და ამბობდნენ, რომ აი, ხელისუფლებამ გამოიყვანა ზედმეტი პოლიციელი. ნახეთ, რამდენი პოლიციელია მობილიზებული, რატომ მიიღეს ეს ზომები, რატომ გამოიყენეს ბარიერები. ხომ გახსოვთ, ეს იყო ორდღიანი კრიტიკა ხელისუფლების მიმართ მხოლოდ იმის გამო, რომ ხელისუფლებამ ჩათვალა, უნდა მიეღო პრევენციული ზომები, პოლიციელები დაეყენებინა იქ, სადაც რისკი არსებობდა. დღეს იგივე ჟურნალისტები მისვამენ შეკითხვას, გუშინ რატომ არ იყო ბევრი პოლიციელი და არ ერეოდა აქტიურად პროცესში. ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ პროტესტის იმ ნაწილისგან, რომელიც გადის მეტწილად კანონმდებლობიდან, აგრესიულ და პროვოკაციულ ხასიათს ატარებს, თავი უნდა შეიკავოს ყველა მხარემ, განსაკუთრებით იმან, ვინც ახდენს პროვოცირებას“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

პოლიცია ოპოზიციის გამო „ჭრელო პეპელას“ ვარიანტშია

ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, მნიშვნელობა არა აქვს, რომელი მხარე იქნება, რომ ადამიანი არ დაზიანდეს, არ მოხდეს შეხლა-შემოხლა და განვარიდოთ ერთმანეთს, — ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა აქციებთან დაკავშირებული საკითხის კომენტირებისას აღნიშნა.

„ხშირად ხდება, უმოქმედობაში ვართ, თუ გამოვალთ, ხელკეტსაც არ ვხმარობთ, რეზინის ტყვიებს, არც გაზს და ელემენტარულად ორჯერ წყალს მივასხამთ, ამაზეც გვლანძღავენ, როგორ შეიძლება სიცივეში წყლის გამოყენება. ახლა ვცდილობთ, რომ გავათბოთ წყალი და თბილი წყალი გამოვიყენოთ. ვმოქმედებთ, არ მოსწონთ, არ ვმოქმედებთ, არ მოსწონთ, რთულია. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, მნიშვნელობა არა აქვს, რომელი მხარე იქნება, რომ ადამიანი არ დაზიანდეს, არ მოხდეს შეხლა-შემოხლა და განვარიდოთ ერთმანეთს“, — განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ერთობლივი დეკლარაცია დიმიტრი ამილახვრის სახელობის დიალოგის შეხვედრაზე

დიმიტრი ამილახვრის სახელობის ქართულ-ფრანგული დიალოგის პირველი შეხვედრა ერთობლივი დეკლარაციის მიღებით დასრულდა.

დეკლარაციაში წერია, რომ ფრანგულ კომპანიებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოში საინვესტიციო და სავაჭრო შესაძლებლობების შესახებ, რათა მიმდინარე მოლაპარაკებების ფარგლებში ხელი შეეწყოს საქმიანობას სხვადასხვა სფეროში.

მხარეებმა განიხილეს საქართველოში ფრანგული ენის სწავლების მხარდასაჭერად კონკრეტული საშუალებები, რათა დაეხმარონ ყველა ქართველ მოსწავლეს, სტუდენტსა და მკვლევარს, რომელთაც სურთ, ისწავლონ ფრანგული ენა. ამ ფორმატით შემდეგი შეხვედრა მომავალ წელს საქართველოში გაიმართება.

სახელმწიფო სამოქალაქო დაპირისპირებას არ დაუშვებს

ეს ახალგაზრდები დღეს შეიძლება ერთმანეთთან ოპონირებენ, მაგრამ ხვალ მათ უნდა ააშენონ ეს ქვეყანა და ვინც გაბედავს, გააღვივოს მათ შორის დაპირისპირება, კანონთან ერთად მორალური პასუხისმგებლობაც დაეკისრება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა.

„პირველი — რა თქმა უნდა, არანაირ სამოქალაქო დაპირისპირებაზე საუბარი არ არის და სახელმწიფო ამას არ დაუშვებს. მეორე — ძალადობაში ეჭვმიტანილი ყველა პირი განურჩევლად, რომელ მხარეს იყო, უნდა იყოს დასჯილი, ეს არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება. მესამე — კონტრაქცია, აქცია, ეს უკვე პოლიტიკური შეფასებებია, და ყველა მხარე აძლევს თავისთვის საინტერესო და მომგებიან შეფასებას. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ეს არის უაღრესად ემოციური ფონი. ემოციური ფონის გამომწვევი მიზეზი არის ბევრი რამ, პირველ რიგში, ის, რომ პოლიტიკური პროცესი პარლამენტის ნაცვლად მიმდინარეობს ქუჩაში. სამწუხაროდ, უპასუხისმგებლო ადამიანები ცდილობენ, ამ პოლიტიკურ პროცესში, ქუჩაში ემოციურად დაძაბულ პროცესში ჩაითრიონ ახალგაზრდები და არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ის ახალგაზრდები არიან, რომლებიც დღეს შეიძლება ერთმანეთთან ოპონირებენ, მაგრამ ხვალ ამ ხალხმა უნდა ააშენოს ეს ქვეყანა და ყველა, ვინც გაბედავს ან მოუწოდებს, ან გააღვივებს ამ დაპირისპირებას, კანონის გარდა მორალური პასუხისმგებლობაც დაეკისრება“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

კახა კალაძე სამოქალაქო დესტრუქციის საფრთხეს ვერ ხედავს

„პატარა დაპირისპირებები იყო. ყველას მოვუწოდებ სიმშვიდისკენ. ეს ენერგია, რაც აქვს ყველა ადამიანს და ახალგაზრდას, მოვახმაროთ ჩვენს უკეთეს მომავალს, ქვეყნის განვითარებას და წინსვლას“, — განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, უმჯობესია, პროცესის მონაწილეებმა ენერგია ქვეყნის განვითარებას მოახმარონ. **„ჩემთვის და ბევრი ჩემი თანაგუნდელისთვის მიუღებელია ეს დაპირისპირება და დესტრუქცია. არა აქვს მნიშვნელობა ვის რა მოსაზრება აქვს, მინდა, ყველას მოვუწოდო სიმშვიდისკენ. ეს ენერგია ქვეყნის განვითარებას მოვახმაროთ“,** — განაცხადა კალაძემ.

მობრძანდით, მცხეთას დაგათვალიერებინებთ!

მოძრაობა „სირცხვილიასა“ და „შეცვალეს“ ახალგაზრდებს ვთავაზობ, საკუთარი ტრანსპორტით კომფორტულად მოვემსახურები, მცხეთაში ბევრ სიახლეს ვაჩვენებ და ვპირდები, რომ მათთვის ეს გასაკვირი იქნება, — ამის შესახებ მცხეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა დიმიტრი ხუნდაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, სახელმწიფო აურზაურს არ დაუშვებს და ახალგაზრდებს ძალადობაზე უარის თქმისკენ მოუწოდა.

„მცხეთაში აჟიოტაჟს ქმნიან. მცხეთაში არავითარი მეორე მხარე არ არსებობს. ამის დასტური იყო ის, რომ აგრესიულად განწყობილი ახალგაზრდების მხარეს არც ერთი მოქალაქე არ იყო. ინფორმაცია მაქვს, რომ მცხეთაში დღესაც მსგავსი სცენის დადგმას აპირებენ, ეს არ გამოვა. ახალგაზრდებს მოვუწოდებ, ძალადობაზე უარი თქვან, გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია. წესრიგი იქნება დაცული, ძალადობას პერსპექტივა ვერ ექნება. სამართლებრივ სახელმწიფოში მოქმედებს კანონი და არა მხოლოდ პარტიულობა, თანამდებობა, პოლიტიკური მანტია, როგორც ზოგს წარმოუდგენია, რომ ეს დაცვის მექანიზმია და შეუძლია, კანონი დაარღვიოს. თუ კანონს დაარღვევენ, კანონს შეეჯახებიან“, — აღნიშნა ხუნდაძემ.

„ზღვის სიმშვიდე“ შეინარჩუნეთ, ქობულეთელებო!

ინციდენტი მოხდა ქობულეთის მერიაში. ერთმანეთს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. შემთხვევის ადგილზე ერთი ადამიანი დააკავეს. დაკავებულს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ედავებიან.

ქობულეთის მერის მირიან ქათამაძის განაცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მის კაბინეტში შეჭრას ცდილობდნენ. საპირისპიროს აცხადებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები. ბონდო თედორაძის თქმით, ოპოზიცია სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ აპირებდა შეკრებას, თუმცა მმართველი პარტიის მხარდამჭერებმა ამის საშუალება არ მისცეს.

მოგვიანებით ადგილზე ვითარება განიმუხტა. ქობულეთის მერიის შენობასთან პოლიცია იყო მობილიზებული.

როს მკურნალს ქვეყნის ნაკაწრიც სტკივა!..



რა უნდა ვაჟა გაფრინდაშვილს?

სრულიად მშვიდობიანი, გულწრფელი და ალტრუისტული ჟესტის წინაშე დე ფაქტო ცხინვალი განიარაღებულია. ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავება თავის ტკივილია როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვის, ისე არაღიარებული რეჟიმისთვის და არა მხოლოდ თავის ტკივილი, არამედ თავსატეხიც.

მთავარი ამბავი ისაა, რომ ჯერაც ამოუცნობი რჩება გამოცანა იმის შესახებ, თუ რატომ წავიდა წარმატებული, რეალიზებული, აღიარებული, გამოცდილი, თავისი საქმის პროფესიონალი ექიმი ახალგორის მიმართულებით, რატომ გადაკვეთა ეგრეთ წოდებული ადმინისტრაციული საზღვარი, რის მიღმაც მას არც ნათესავები ჰყავდა და არც მეგობრები? დაჯერება იმისა, რომ ადამიანი, შესაძლოა, ამდენად იდეალისტი იყოს და სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დაფიქსირება იმდენად აღელვებდეს, რომ ამისთვის საკუთარი თავი ტანჯვისთვის გასწიროს, მარტივი არაა. ცხინვალში არა აქვთ ახსნა, არა აქვთ პასუხი კითხვაზე: რა უნდა ვაჟა გაფრინდაშვილს, ვერ ხსნიან, რატომ ჩაიგდო თავი მან საფრთხეში.

მხოლოდ შეგვიძლია, ვარაუდები გამოვთქვათ და ვიმკითხაოთ, რით იყო ნაკარნახევი ასეთი მსხვერპლშეწირვა, რადგან ვერც ერთი ვერსია ვერ უძლებს კრიტიკას გაფრინდაშვილის სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შეღწევის მიზეზების შესახებ. საქართველოს მედია, რომელსაც არა აქვს არანაირი ინფორმაცია (რადგან არც ექიმის ოჯახს ჰქონდა წარმოდგენა იმის თაობაზე, როგორ აღმოჩნდა ის საზღვარზე), რამდენიმე დღის განმავლობაში აჟღერებდა ვერსიას იმის შესახებ, თითქოს ვაჟა გაფრინდაშვილს სურდა, დახმარებოდა ლენინგორის რაიონის მცხოვრებ თამარ გიგაურს, რომელმაც დაზიანებები მიიღო უბედური შემთხვევის გამო. ეს ვერსია არ ჩანდა ლოგიკას მოკლებული, რადგან გაფრინდაშვილი ორთოპედ-ტრავმატოლოგია. მაგრამ იმ დროისთვის დაზარალებული უკვე გაწერილი გახლდათ რესპუბლიკური საავადმყოფოდან, სადაც მიიღო საჭირო მომსახურება, ამასთან მან განაცხადა, რომ თბილისიდან ექიმს არ ელოდებოდა...

„თავად დაკავებულმა კი განაცხადა, რომ სურდა რამდენიმე წმინდა ადგილისა და ეკლესიის მონახულება სოფელ „მონასტერთან“ ახლოს, ლენინგორის რაიონში. „ღვთისნიერი“ ექიმი დაადგა ხაზგასმით საშიში პილიგრიმობის გზას, მივიდა რა სამხრეთ ოსეთის საზღვართან ონჭოსანის მხრიდან და გაუშვა მანქანა. ის მზად იყო იმისთვის, რომ დააკავებდნენ“, — ეს გახლავთ ამონარიდები დე ფაქტო ადმინისტრაციის საინფორმაციო საგენტოს მიერ გავრცელებული ტექსტებიდან, სადაც ასევე საუბარია იმის შესახებ, რომ ვაჟა გაფრინდაშვილის ამბავი, შესაძლოა, პოლიტიკის ნაწილი იყოს. ამის დასაბუთებისას გამოყენებულია საპროტესტო აქციები პარლამენტის წინ, საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნა და ასევე სცენარი, რომლის თანახმად, საქართველოში რევოლუციები პერმანენტულ ხასიათს ატარებს.

„შეიძლება ითქვას, რომ კეთილი ექიმი იქცა საქართველოში უზომო პროპაგანდის მსხვერპლი და მოექცა ტელევიზიებიდან მომდინარე ისტერიული მოწოდებების გავლენის ქვეშ, რომელიც ატარებს სულისკვეთებას „ვინ, თუ არა შენ?“ იქნებ მას სურდა, შიშველი ხელებით აეღო სასაზღვრო ბარიერები და მძიმე ავადმყოფები გადაეყვანა ლენინგორის რაიონიდან მას შემდეგ, რაც წინასწარ სწორედ ამ ადგილას ილოცებდა საქართველოსთვის?“ — მსჯელობს ცხინვალელი ჟურნალისტი. **მკითხაობა ვაჟა გაფრინდაშვილის გადაადგილების მოტივების თაობაზე ბევრია, თუ ცოტა, ამის მიუხედავად, იგი კვლაც საპატიმროში იმყოფება და არ აპირებს აღიაროს, რომ ეს საპატიმრო საქართველოს ტერიტორიაზე არაა განთავსებული.**

ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახი მის განთავისუფლებას მომავალი კვირისთვის ელის. ექიმის მეუღლე თამილა ლაფანაშვილი „ამერიკის ხმასთან“ ამბობს, რომ მისთვის ვაჟას საპატიმროდან დახსნის „დედლაინი“ მომავალი კვირის ოთხშაბათია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კონკრეტულ მოთხოვნებს დააყენებს. **„ვაჟას ამბავი ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ იცის და გადავალთ კონკრეტულ ნაბიჯებზე ამ აღშფოთება-შეშფოთებიდან. მე გაეროსაც გავუგზავნე სპეციალური წერილი და იქიდანაც ვითხოვ ჩართვას“,** — გვეუბნება თამილა ლაფანაშვილი. მას ამ ორგანიზაციიდან საპასუხო წერილი ჯერ არ მიუღია. **„წერილს, ჯერ განიხილავენ, მგონია, რომ სიკეთისკენ მივდივართ“,** — ასეთია მისი მოლოდინი.

ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ცხინვალში მუშაობს, წითელი ჯვარია. სამკვირიანი პატიმრობის განმავლობაში წითელმა ჯვარმა ვაჟა გაფრინდაშვილის მონახულება მხოლოდ ორჯერ მოახერხა. მიუხედავად საერთაშორისო მანდატისა და მუშაობის შეუფერხებლობის „გარანტიისა“, დე ფაქტო რეჟიმთან თანამშრომლობა, როგორც ჩანს, არც წითელი ჯვრისთვისაა მარტივი. ტანსაცმელი და პირადი ნივთები, რაც ოჯახმა ექიმს გაუგზვნა, მხოლოდ ორი დღის წინ მოხვდა ადრესატთან. 19 ნოემბრის შემდეგ ამანათი ცხინვალში „იცდიდა“.

„საკითხი უკვე იმ დონემდეა მისული, რომ რუსეთის უშუალო ჩარევის გარეშე, როგორც ჩანს, არ მოხდება ამ ადამიანის განთავისუფლება. ამ პერიოდში ის მაინც მოხერხდა, რომ ყველა, მათ შორის რუსეთიც, გრძნობს, რომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ამ ადამიანის ცხინვალის ციხეში ყოფნა. იმედი მაქვს, ის მალე დაგვიბრუნდება, თუმცა, ალბათ, აქამდეც შეიძლებოდა უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით, იგივე რუსეთთან მიმართებით, იგივე საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართულებით. ეს უკვე იქცა ეროვნული ღირსების საქმედ. შესაძლებელი იყო გარკვეული შუამავლების გამოყენება და შედეგი უფრო მალე დადგებოდა. მთავარია, ვაჟა იყოს ჯანმრთელად და არ მოხდეს მისი ღირსების შელახვა“, — აცხადებს გიორგი ტუღუში, პარლამენტის წევრი „ევროპული საქართველოდან“, რომელიც რამდენიმე წელი საქართველოს სახალხო დამცველი გახლდათ. სწორედ ამ პოზიციაზე მუშაობისას მან შეძლო ევროკომისართან თანამშრომლობა იმდენად ნაყოფიერად, რომ ის ცხინვალის ციხეში ტყვედ მყოფი ადამიანების გათავისუფლების პროცესში ჩაერთო. გიორგი ტუღუში ამბობს, რომ დღეს ეს მექანიზმი აღარ არსებობს და ევროპის ადამიანის უფლებათა კომისრის „ჩარევა“ არ შეიმჩნევა.

„მიდგომა ჯერ კიდევ წინა კომისრის მუშაობის დროს შეიცვალა. იგი თავს არიდებდა ამას და, როგორც ჩანს, იგივე გზას ადგას ამჟამინდელი კომისარი. დღეს ეს რესურსი არაეფექტურად მიმაჩია, თუმცა მნიშვნელოვანია ინფორმირება. რაც შეეხება გაეროს და ეუთოს, როგორც ჩანს, მათი მანდატიც შეზღუდულია. ჩვენ დავრჩით ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის წინაშე, რომელმაც უნდა მიიღოს ეს გადაწყვეტილება. ნებისმიერი მექანიზმი, რომელიც ზეწოლას განახორციელებს რუსეთზე, ეს იქნება ევროსაბჭოს სტრუქტურები თუ სხვა სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, არის წინაპირობა შედეგის მისაღებად — ექიმის დასაბრუნებლად“, — ამბობს გიორგი ტუღუში და დასძენს, რომ ეს გაკვეთილია ჩვენი ქვეყნისთვის: **„კიდევ ერთხელ გვახსენებს, რამხელა პრობლემის წინაშე ვდგავართ, როდესაც სულ რამდენიმე კილომეტრში დანაშაულებრივი რეჟიმია, რომელსაც შეუძლია, ჩვენი მოქალაქეები გაიტაცოს, დაამწყვდიოს და კვირების განმავლობაში ამყოფოს პატიმრობაში. ეს კიდევ ერთხელ გვახსენებს იმას, თუ რა როლს თამაშობს რუსეთი ამ პროცესში. კარგი იქნებოდა, გაცილებით მეტი გვეზრუნა ამ პრობლემის მოგვარებაზე, ვიდრე რუსეთის ენისა და კულტურის ცენტრის გახნაზე საქართველოს დედაქალაქში, რაც გუშინ მოვისმინეთ და კიდევ ერთი საგანგაშო სიგნალია, თუ საით მიდის ეს ყველაფერი.“**

რუსული ენისა და კულტურის ცენტრის გახსნის თაობაზე თბილისში პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში, ზურაბ აბაშიძემ გააჟღერა, რომელიც ახლახან დაბრუნდა პრაღიდან, სადაც ის გრიგორი კარასინს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ხვდებოდა. მათ ვაჟა გაფრინდაშვილის საკითხზეც ისაუბრეს.

ოსური მედია კარასინის პოზიციას შემდეგნაირად გადმოსცემს: **„რუსი სენატორი გრიგორი კარასინი იმედს გამოთქვამს, რომ სამხრეთ ოსეთის მესაზღვრეების მიერ, საზღვრის დარღვევის გამო დაკავებულ ქართველ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს ამ დღეებში გაათავისუფლებენ“. „ვფიქრობ, გაფრინდაშვილი უახლოეს დღეებში სახლში იქნება, მე ამის იმედი მაქვს. იმდენად, რამდენადაც ის სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იმყოფება, თქვენ ამის შესახებ მათ უნდა ჰკითხოთ, ვინც გადაწყვეტილებას იღებს. იმედი მაქვს, გადაწყვეტილებას მიიღებენ და გაფრინდაშვილი მალე დაუბრუნდება ოჯახს. ამისთვის ჩვენ ყველა კონტაქტს გამოვიყენებთ, მოდით, მოვიცადოთ“,** — ასეთია კარასინის პასუხი.

მან თქვა, რომ მოსკოვი დაინტერესებულია ადამიანების ტანჯვის შემსუბუქებით: „ჩვენ გვინდა, რომ ადამიანები არ იტანჯებოდნენ. მე მშვენივრად ვიცი, რომ გაფრინდაშვილი ექიმია, ჩემი მშობლებიც ექიმები იყვნენ, ამიტომაც ძალიან კარგად მესმის საკითხი, თუმცა წინასწარგამიზნულად საზღვრის გადაკვეთა არსებულ წესრიგს არღვევს“.

ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავების ფაქტს, ახალგორის მიმართულებით გამშვები პუნქტების დაკეტვას, ადამიანთა უკანონო დაკავებებს თავის ანგარიშში გამოეხმაურა საერთაშორისო ორგანიზაცია „ამნესთი ინთერნეშენალი“ და მიუთითა, რომ ოკუპანტი ძალა ამით საერთაშორისო სამართლის პრინციპებს არღვევს.

ამ დრომდე კვლავ ჩაკეტილი რჩება გადაადგილების პუნქტი ახალგორის მიმართულებით. ასეთი მდგომარეობა 4 სექტემბრის შემდეგ უცვლელია. ადგილობრივების მოსაზრებით, იზოლაცია დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

ნინო დალაქიშვილი

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ახალი შენობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ახალი შენობა გახსნეს.

„აღნიშნული დეპარტამენტის ახალი შენობა და ის ლაბორატორიები, რაც აქ არის განთავსებული, უაღრესად მნიშვნელოვანია შსს-ს სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის და საგამოძიებო კომპონენტის ეფექტურად წარმართვისთვის. ლაბორატორია პასუხობს თანამედროვე მოთხოვნების ყველაზე უახლეს გამოწვევებს. ეს ლაბორატორია ჩვენს პოლიციელებს და გამომძიებლებს აძლევს საშუალებას, ეფექტურად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. აქ არის სრულიად თანამედროვე ლაბორატორიები, რომელიც ჩვენ აქამდე არ გვქონდა, დნმ-ით დაწყებული, ბალისტიკით დამთავრებული და კიდევ ბევრი. მთავარი ის არის, რომ მთელმა გუნდმა ძალიან ეფექტურად იმუშავა და ეს ყველაფერი გაკეთდა ერთ წელში. მინდა, შსს-ს თითოეულ პოლიციელსა და კრიმინალისტიკის დეპარტამენტს მივულოცო. ისინი უკვე რამდენიმე დღეა, ოპერირებენ ამ შესანიშნავ გარემოში და ვუსურვებ წარმატებებს“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ვახტანგ გომელაურის განცხადებით, შენობაში ფუნქციონირებს ახალი აპარატურა და ახალი პროგრამები.

„წარმოიდგინეთ, რომ აქამდე ეს ყველაფერი ამ შენობის 20%-ში იყო განთავსებული, ძალიან ცუდ პირობებში. საექსპერტო-კრიმინალისტიკური დაახლოებით 20 მიმართულება იფუნქციონირებს. დაემატა დნმ-ის კვლევის ჯგუფი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა 21-ე საუკუნეში, ის ერთ-ერთი უტყუარი მტკიცებულებაა სასამართლოსა და სხვა ორგანოებში წარსადგენად, რათა დამტკიცდეს დანაშაული. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს თანამშრომლებს. ამაზე არ გავჩერდებით და ახალ აპარატურას შემოვიტანთ დამატებით, რათა უფრო წინ წავიდეთ და დავხვეწოთ“, — განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

სივრცეში განფენილი ფორმების ზეიმი

ერთობ საგულისხმო გამოფენას მასპინძლობს ამ დღეებში გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი, სადაც გასულ შაბათს საქართველოს კულტურის ფონდის ძალისხმევით შესანიშნავი არქიტექტორისა და მხატვრის გია ხეჩინაშვილის ფერწერული ტილოები იქნა წარმოდგენილი.

გია ხეჩინაშვილი თბილისში დაიბადა და გაიზარდა, პროფესიით კი მამის გზას გაჰყვა.

1976 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მამის – არქიტექტორ გერა ხეჩინაშვილის მიერ დაფუძნებულ საპროექტო-მხატვრულ სამშენებლო ფირმა „მუზაში“ მხატვარ-არქიტექტორად დაიწყო მუშაობა. მისი მხატვრული ტილოების პირველი გამოფენა ელენე ახვლედიანის სახელობის სურათების გალერეაში მოეწყო.

არქიტექტორისა და მხატვრის ნამუშევართა პერსონალურ გამოფენაზე სახელწოდებით „საქართველო-ევროპა“, როგორც თავად დასათაურებაც მიგვანიშნებს, ჩვენი სამშობლოსა და ძველი კონტინენტის რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ესპანეთისა და ჩეხეთის ქალაქების ხედები, დამახასიათებელი

ესპანეთის კიბეები (რომი)


პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

გიორგი კვესიტაძე, თამაზ შილაკაძე, გია ხეჩინაშვილი

პეიზაჟები და ხუროთმოძღვრების დიდებული ქმნილებებია წარმოდგენილი. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან აღსანიშნავია „ატენის სიონი“, „გელათი“, „გრემი“, „ანანურის გალავანი“, „ქსნის ციხე“, ასევე საყურადღებოა თბილისის, სვანეთის, თუშეთის ხედები, ევროპული ციკლიდან კი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, „სენ ჟერვეს ტაძარი“ (პარიზი), „ესპანეთის კიბეები“ (რომი), „ტაძრის ხედი“ (პიზა), „ქალაქის ხედები“ (ფლორენცია), „დიდი არხი“, „ქალაქი ღამით“ და „გონდოლები“ (ვენეცია), „კასტელ დელ მონტე“, „საგრადა ფამილია“ (კატალონია, ბარსელონა), „ბურგოსის ტაძარი“ (ესპანეთი), „ანტვერპენის მთავარი გამზირი“ (ბელგია), „პარლამენტი“, „ბიგ-ბენი“, „ტაუერის ხიდი“, „სოლსბერის ტაძარი“, „ლიჩფელდის ტაძარი“, „ლინკოლნის ტაძარი“ (ყველა ინგლისი) და სხვები.

არაჩვეულებრივად მიმზიდველ გამოფენას ქართული კულტურის, მეცნიერების, მუსიკის, არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების, სპორტის სფეროების მრავალი გამოჩენილი პირი დაესწრო, ზოგიერთმა მათგანმა დამსწრეთ სიტყვითაც მიმართა. გამოფენა გახსნა და შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა ამ ღონისძიების მთავარმა ინიციატორმა, საქართველოს კულტურის ფონდის თავკაცმა, აკადემიკოსმა თამაზ შილაკაძემ. წარმოდგენილ ნამუშევართა ხიბლსა და წარმტაცობაზე ილაპარაკეს ღვაწლმოსილმა მხატვარმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა **გივი თოიძემ**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გიორგი კვესიტაძემ**, სახალხო მხატვარმა **თემო გოცაძემ**, ქართველი ხალხის უსაყვარლესმა კომპოზიტორმა **ვაჟა აზარაშვილმა**, ქართული ხუროთმოძღვრების აღიარებულმა ოსტატებმა **ვახტანგ დავითაიამ** და **გიგა ბათიაშვილმა**, პოპულარულმა სპორტულმა კომენტატორმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა,** ფოთის ყოფილმა მერმა **პეტრე ბერაიამ,** სხვებმა.

სიტყვით გამოსულთა საერთო აზრით, ასეთი სახის გამოფენა დიდი ხანია, ჩვენში არ გამართულა, არქიტექტორთა მიერ შექმნილი მხატვრული ტილოების საგამოფენო სივრცეში გამოჩენას თითქოს გადავეჩვიეთ კიდეც, თუმცა უწინ ისინი ფერწერით უფრო მეტად იყვნენ გატაცებულნი. ამის საუკეთესო მაგალითად თუნდაც თეატრის შესანიშნავ მხატვართა „სამეულიც“ (სლოვინსკი, ჩიკვაიძე, ქოჩაკიძე) კმარა, რომლებიც პირველი უმაღლესი განათლებით არქიტექტორები იყვნენ. ფერწერას ის ხიბლი აქვს, რომ, თუ კაცმა ერთხელ მოჰკიდა ფუნჯს ხელი, შემდეგ იოლად ვეღარ შეელევა. მხატვრობას სიყვარულივით უდიდესი მიზიდულობა აქვს, რომლის გარეშე საქმეში წარმატების მიღწევა შეუძლებელია, სადაც ემოცია არ არის, ყველაფერი ფუჭია.

მეტად საინტერესოა ტილოზე გადმოტანილი მსოფლიო არქიტექტურული შედევრები, როგორ აღიქვამს ამ სივრცეში განფენილ ფორმებს პროფესიონალი ხუროთმოძღვარი. თანაც, ერთია მათი დანახვა და მეორე – ამ დანახულის ტილოზე საჭირო აქცენტებით გადმოტანა, რაც ბატონმა გია ხეჩინაშვილმა შესანიშნავი ოსტატობით შეძლო.

ითქვა ისიც, რომ გამოფენილი სურათები თითქოს მღერიან კიდეც, იმდენია მათში მუსიკალური მოტივი, რომლებიც სულ სხვა სამყაროში მიგვიძღვიან.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ არქიტექტორისა და მხატვრის გია ხეჩინაშვილის გამოფენა არის სიცოცხლის ჰიმნი და მეგობრობის კიდევ ერთი საუცხოო მაგალითი, რისთვისაც დიდი მადლობა გადაუხადეს საქართველოს კულტურის ფონდსა და პირადად მის პრეზიდენტს, აკადემიკოს თამაზ შილაკაძეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ კი ბატონ გია ხეჩინაშვილის ნამუშევართა ექსპოზიცია აკადემიაში გამოსაფენად მიიწვია.

ამდენად, არქიტექტორ-მხატვრის გია ხეჩინაშვილის შემდეგი გამოფენა უკვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართება.

ოთარ ტურაბელიძე

დემიკო ლოლაძის ფოტო.

ქუჩა სოლოლაკში


გრემი

საქართველო ევროსაბჭოს ტრადიციულ საშობაო ბაზრობაში მონაწილეობს

ევროპის საბჭოში საზეიმოდ ტრადიციული საშობაო ბაზრობა გაიხსნა, სადაც საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობს საქართველო, როგორც ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა.

საშობაო ბაზრობის გახსნის ღონისძიებაზე სტრასბურგის ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა სოფო ირმაშვილმა და მარიამ შუბითიძემ ქართული ნაციონალური ცეკვები შეასრულეს, რამაც შეკრებილი სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ევროსაბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობისთვის დათმობილ სტენდზე წარმოდგენილია საქართველოს საიმიჯო და საპრომოციო მრავალფეროვანი მასალა, მათ შორის, ბროშურები და ბუკლეტები ქვეყნის უნიკალური ტურისტული პოტენციალის, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის, ღვინის უძველესი კულტურისა და ქართული ენის შესახებ.

ევროსაბჭოს საშობაო ბაზრობა მიმდინარე წელს 2 დეკემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით, ევროპის საბჭოს ორივე შენობაში იმართება: პირველ კვირაში ბაზრობას – „ევროპის სასახლე“, ხოლო მეორე კვირაში „აგორა“ მასპინძლობს.



იცით თუ არა თქვენ, რომ ამხანაგ სტალინს, ვიდრე ცოლად შეირთავდა ნადეჟდა ალილუევას, თურმე ჯერ ნამუსი აუხდია მისთვის და მერეღა, ნამუსის მოსაწმენდად, დაქორწინებულა.

იცით თუ არა თქვენ, რომ ზემოხსენებული ნადეჟდა ალილუევას მამა სინამდვილეში სერგეი იაკოვლევიჩ ალილუევი როდი ყოფილა, არამედ, სრულიად სხვა პერსონაჟი... დიახ, დიახ, ნადიას დაბადებამდე ცხრა თვით ადრე დედამისს, ოლგა ალილუევას, თურმე აქტიურად ჰყვარობდა ერთი ჩვენებური ახალგაზრდა კაცი, სახელდობრ, სოსო ჯუღაშვილი. ამ მითქმა-მოთქმას თურმე ადასტურებს შემდეგი გარემოებანი:

ეგრე არ არი, თაყაო...

1. ოლგა განთქმული იყო თავისი ტემპერამენტით; 2. ორივენი, ოლგაც და სოსოც, ერთსა და იმავე დროს, სახელდობრ, 1900 წელს, ბინადრობდნენ ერთსა და იმავე ქალაქში, სახელდობრ, ბაქოში; 3. სტალინის ოჯახში, ცოლქმრობის ბოლო წლებში, წარმოიქმნა დაძაბულობა...

რკინისებური არგუმენტებია, არა?

რა უშავს, რომ ერთმანეთს ჯერ არც იცნობდნენ (მოსავალი სიძე-სიდედრი), მაგრამ ერთსა და იმავე წელს ხომ ერთსა და იმავე ქალაქში (დიდ ქალაქში!) ცხოვრობდნენ, აქტიურად შეუყვარდებოდათ ერთმანეთი, აბა რა იქნებოდა?!

ამგვარად, სტალინს თურმე თავისი ღვიძლი შვილი (ნადია) ჰყოლია ცოლად. აი, თურმე რატომ უყვარდა ასე გაგიჟებით სვეტლანა, ის ხომ შვილადაც ერგებოდა და შვილიშვილადაც!

იცით თუ არა თქვენ, რომ ამხ. სტალინი თურმე სექსუალური აქტიურობით გამოირჩეოდა და მასთან თოთხმეტწლიანი ცხოვრებისას (1918-1932) ნადეჟდა ალილუევას, გარდა ორი შვილის გაჩენისა, თურმე 10 (ათი!) აბორტი ჰქონია გაკეთებული. (დახეთ ერთი, ველური კავკასიელი და საბრალო რუსის ქალი! თავს მოიკლავდა, აბა რას იზამდა?!)

ყოველივე ზემოთქმულს იოლად შეიტყობთ ლონდონში გამოცემული წიგნიდან „სტალინი და მისი ჯალათები“ (2004), რომლის ავტორიც გახლავთ ღვაწლმოსილი ინგლისელი პროფესორი, ქართული ენის ცოდნითა და ქართული მწერლობის ფრიად ორიგინალური კვლევით ჩვენშიც სახელმოხვეჭილი მისტერ დონალდ რეიფილდი (და ყოველივე ზემოთქმული ჩაწიკწიკებულია დასახელებული წიგნის 46-ე გვერდზე. დიახ, დიახ, ამდენი სენსაცია ერთ გვერდზე დახვავებულა!)

პატივცემული ინგლისელი პროფესორი სამწუხაროდ, არაფერს გვამცნობს იმის შესახებ, თუ რას შვრებოდნენ სექსუალურ ასპარეზზე მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ე.წ. „დიდი სამეულის“ დანარჩენი წევრები, ანუ რამდენი აბორტი გაუკეთებია დიდი ბრიტანეთის ყველაზე სახელგანთქმული პრემიერ-მინისტრის მეუღლეს, ქალბატონ კლემენტინა ჩერჩილს, ანდა ამერიკის შეერთებული შტატების არანაკლებ სახელგანთქმული პრეზიდენტის მეუღლეს ქალბატონ ელეონორა რუზველტს. ობივატელური ცნობისმოყვარეობა როდი ჰბადებს ესოდენ დელიკატურ შეკითხვებს. საქმე ისაა, რომ ამგვარი ინფორმაცია ძალიან წაგვადგებოდა საიმისოდ, რათა ამხ. ნადეჟდა ალილუევას გინეკოლოგიური პრობლემები შეგვედარებინა ცივილიზებული დასავლეთის ელიტაში დადგენილ ნორმებთან.

როგორც კი ზემოხსენებულ წიგნს ხელში აიღებთ, თვალში უმალვე მოგხვდებათ ფორზაცზე გამოფენილი ექვსი ფოტოსურათი, სადაც გამოსახულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამი გამორჩეული მსხვერპლი „სტალინის ჯალათებისა“: რუსი მწერალი ისააკ ბაბელი; რუსი პოეტი ოსიპ მანდელშტამი და ასევე რუსი მომღერალი ქალი ოლგა მიხაილოვა, მარშალ ბუდიონის მეუღლე; იქვე კი, სამი გამორჩეული „ჯალათი სტალინისა“: შალვა წერეთელი — სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მაღალჩინოსანი; გენერალი ნიკოლოზ რუხაძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი; პოლკოვნიკი მიხეილ რიუმინი — სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე.

როგორ მოგწონთ? სტალინის სამი „გამორჩეული ჯალათიდან“ — ორი ქართველი!

ასეთი პროპორციები არასოდეს ყოფილა ბუნებაში, მარტოოდენ ინგლისელი ავტორის ანტისტალინურ სულში დაბადებულა და ანტიქართულ გამოხდომად გადაქცეულა.

სხვათა შორის, სტალინის დაუძინებელ მტერს, ალექსანდრ ისაევიჩ სოლჟენიცინს, ვისაც ქართველების სიყვარულით როდი უძგერდა გული (ანკი რატომ უნდა აძგერებოდა?!), თავის საყოველთაოდ პოპულარულ ნაშრომში „არქიპელაგი გულაგი“ მოუთავსებია ათასგზის წყეული „გულაგის“ შემოქმედთა და ორგანიზატორთა ფოტოსურათები. აი, იმ პირთა გვარები, ამ სამარცხვინო სტენდზე მოხვედრის პატივი რომ მოუხვეჭიათ: იაგოდა, ფრენკელი, რაპოპორტი, ბერმანი, კოგანი, ფირინი, ჟუკი.

როგორც ხედავთ, არავითარი რუხაძეები და წერეთლები!

როდესაც ალექსანდრ ისაევიჩს ამ „გამოფენის“ გამო ბრალად დასდეს ანტისემიტიზმი, თავი უტიფრად იმართლა: „მე ხელოვნურად არ შემირჩევია მათი გვარები. ასე გვიჩვენა ისტორიამ“.

სოლჟენიცინის სიტყვით, ყოველი ადამიანის ვალია, აღიაროს თავისი დანაშაული და ყოველი ერის ვალია, აღიაროს თავისი მონაწილეობა ცოდვებში.

კეთილი და პატიოსანი. გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, იძულებული ვართ, რომ ვაღიაროთ მწარე ჭეშმარიტება, ანუ მოვიმკოთ ის, რაც ჩვენს თვისტომთ დაუთესავთ იმ დასაგმობ წარსულში. ჰოდა, ფეხი უნდა ავუწყოთ ეპიდემიურ ქოქოლას და გულმაგრად ვთათხოთ სტალინიც და ბერიაც, ვინაიდან ნებადართულ გმირობაზე უფრო იოლი და მიმზიდველი, ალბათ, არაფერი არ არსებობს ამქვეყნად. ოღონდ ყველაფერს თავისი საზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს — მონანიებასაც და თავზე ნაცრის დაყრასაც. განა გვეკადრება, რომ ყოველთვის თავი ვუკანტუროთ თუნდაც დამსახურებულ უცხოელ ავტორს ჩვენთვის ეგზომ სანატრელი ევროპიდან, რომელსაც მეცნიერული კეთილსინდისიერება ხანდახან ღალატობს ხოლმე (რას იზამ, მზესაც სჩვევია ლაქები!).

აგერ, სრულიად უსაფუძვლოდ, შავით თეთრზე, ასეთი გამაოგნებელი სიცრუე დაუწერია: „სტალინს, ბერიას და ქობულოვს, როგორც ქართველებს, სძულდათ ინგუშები და ჩეჩნები იმ ანტიპათიით, მთიელ მეომართა მიმართ ბარის ქალაქების მკვიდრთ რომ მოსდგამთ, რაც უხსოვარ წარსულში აღმოცენებულა და დღესაც იგრძნობა საქართველოში“ (დ. რეიფილდი, დასახ. ნაშრ., გვ. 392).

კიდევ გნებავთ ბატონი დონალდისეული მარგალიტები? აი, ინებეთ:

სტალინი და ალილუევა მეგობრებთან, შესვენებისას...

„1936-1938 წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის ერთი მეოთხედი განადგურებულ იქნა; ცოცხლად დარჩენილებმა კი დაკარგეს მეტყველებისა თუ წერის უნარი“ (დ. რეიფილდი, დასახ. ნაშრ., გვ. 340). მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ, ვთქვათ, გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია იმხანად დამუნჯებულან ანდა ხელ-ფეხზე დამბლა დასცემიათ.

„1939-ში მთელ საბჭოთა კავშირს, შეიძლება ითქვას, აკონტროლებდნენ ქართველები და მეგრელები“ (დ. რეიფილდი, დასახ. ნაშრ., გვ. 345). საამისოდ ავტორს ჩამოუთვლია: ლავრენტი ბერია, სერგო გოგლიძე, მიხეილ გვიშიანი, ლავრენტი ცანავა, ალექსი საჯაია.

რაო, რაო? ქართველები და მეგრელები მთელ საბჭოეთს აკონტროლებდნენო?! აუჰ! ბრავო, მისტერ რეიფილდ, ბრავო! ერთი ქართული სიმღერისა არ იყოს, ჩვენ საამაყოდ ეგეც გვეყოფა...

მოწიწებით უნდა შევნიშნო, რომ უბადლო ქართველოლოგად შერაცხილ ინგლისელ პროფესორს, ეტყობა, ქართველები და მეგრელები სხვადასხვა მოდგმისანი ჰგონია. ღმერთმა შეუნდოს...

ერთი სიტყვით, დონალდ რეიფილდის ღირსშესანიშნავი თხზულების სულისკვეთება, ალბათ, იოლი მისახვედრი იქნება ყოველი საღად მოაზროვნე მკითხველისთვის. ამასთან ერთად, ამ ვეება ფორმატისა და მოცულობის წიგნის გამოწვლილვით განხილვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ვინაიდან მოითხოვს თითქმის იმდენივე ქაღალდს, მელანსა და დროს, რამდენიც ავტორს გულუხვად გაუღია თავისი ხუთასგვერდიანი ქმნილების შესაქმნელად. ამიტომაც ჯერჯერობით მინდა შევეხო მხოლოდ ერთ საკმაოდ უმსგავსო პასაჟს მისი წიგნიდან, რომელიც მკაფიოდ ამჟღავნებს მთელი ნაშრომის მიზანდასახულ პათოსს და სხვა არაობიექტურ თუ ტენდენციურ მტკიცებათა ნიმუშადაც გამოდგება.

წიგნის 45-ე გვერდზე ვკითხულობთ:

„სტალინმა ესპანელ კომუნისტს დოლორეს იბარურის (ლა პასიონარიას) სთხოვა, რომ გერმანიაში მყოფ ესპანელ ფაშისტთა რიგებში ჩაენერგა საიდუმლო აგენტები, რათა მათ შეეღწიათ სამხედრო ტყვეთა ბანაკში გამწესებულ იაკობამდე და, ალბათ, მოეკლათ იგი“.

ავტორის მიზანი ნათელია: ამ ულმობელ ურჩხულს აბა რა უნდა მოვკითხოთ, როდესაც თავის ღვიძლ შვილსაც კი არ ინდობდაო?!

ესოდენ შემაძრწუნებელი ინფორმაციის წყარო არც გახლავთ მითითებული, თუმცა სხვა შემთხვევებში, ყოველი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ფაქტის დამოწმებისას მისტერ რეიფილდი შესაშური სიზუსტით მიუთითებს გამოყენებულ ლიტერატურას. ასე მაგალითად, შორს რომ არ წავიდეთ, მომდევნო გვერდზე სტალინის პერსონალური სამედიცინო დეფექტების ირგვლივ ღრმაზროვანი მსჯელობისას აკურატულად აღნიშნულია, რომ ავტორი ეყრდნობა „ობშჩაია გაზეტას“ (სანკტ-პეტერბურგი, 2001, №9).

„ობშჩაია გაზეტა“ — როგორი სოლიდური წყაროა, არა?

საფიქრებელია, რომ დოლორეს იბარური შემთხვევით არ უნდა იყოს მოხსენიებული მისტერ რეიფილდის მიერ, რაც მიგვანიშნებს მის სავარაუდო წყაროზე. ოღონდ სინამდვილეში დოლორეს იბარური თავის მოგონებებში

სტალინის ვაჟიშვილთან დაკავშირებულ ამბავს სრულიად სხვაგვარად გადმოგვცემს.

დოლორეს იბარურის ცნობით, 1942 წელს ფრონტის ხაზს მიღმა გადასროლილ იქნა სპეცჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდა ესპანელი ხოსე პარა მოია, რომელიც აღჭურვილი იყო დოკუმენტებით ფრანკისტთა „ცისფერი დივიზიის“ ოფიცრის სახელზე. აღნიშნულ სპეცჯგუფს ევალებოდა სტალინის ვაჟიშვილის გამოხსნა ჰიტლერელთა კონცლაგერიდან. მაგრამ დაგეგმილ ოპერაციას, მიზეზთა და მიზეზთა გამო, განხორციელება არ ეწერა (დოლორეს იბარური, მოგონებანი, წიგნი მეორე, მოსკოვი, 1988, გვ. 63-64).

ვფიქრობ, მისტერ რეიფილდი სწორედ ზემოთქმულ ცნობას უნდა ეყრდნობოდეს, თუმცა ერთი პაწაწკინტელა და უმნიშვნელო კორექტივი შეუტანია იბარურის მონათხრობში: „გამოხსნის“ ნაცვლად „მკვლელობას“ წერს. მისი აზრით, გულქვა და პირსისხლიანი დიქტატორის ბუნებას ეს უფრო მიესადაგება.

როგორც ინგლისელები იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...

რაც შეეხება სტალინის დამოკიდებულებას თავისი უფროსი ვაჟიშვილის მიმართ, ამ გარემოებას საკმაოდ თვალნათლივ და დამაჯერებლად ასახავს აკაკი მგელაძე თავის მემუარებში „სტალინი, როგორსაც მე ვიცნობდი“ (თბილისი, 2001), სადაც ვკითხულობთ შემდეგს:

1952 წლის მარტში, როდესაც ამხ. მგელაძე კრემლში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დაამტკიცეს, იმავე საღამოს სტალინს, საკავშირო პოლიტბიუროს წევრებთან ერთად, კუნცევოს აგარაკზე ვახშმად ისიც მიუწვევია. შუა წვეულებისას სტალინს მგელაძე თავის კაბინეტში გაუყვანია და ასე დაუმოძღვრავს:

— ბოლო უნდა მოვუღოთ მეძრთამეობას, ხაზინის ძარცვას და სხვა უმსგავსობებს. ბოლო უნდა მოვუღოთ პროვინციელ „ბელადებს“. შუღლი საძართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის მუდამ დიდი უბედურება იყო ძვეყნისთვის. ამ გარემოებით თავის დროზე სარგებლობდნენ ირანის შაჰიც და თურძეთის სულთანიც. თუკი დავუკვირდებით საძართველოს ტრაგედიას, უთუოდ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ არც შაჰებს, არც სულთნებს, არც თემურ-ლენგს საძართველოსთვის იმდენი ზიანი არ მიუყენებიათ, რამდენიც ურთიერთძიშპამ მიაყენა. რა თქმა უნდა, ახლა ასეთი საფრთხე არ გვემუქრება, მაგრამ არის სხვა საფრთხე — პროვინციული „ვოჟდიზმი“, რომელიც წარმოქმნის კინკლაობას და ინტრიგებს. ყველა თავისკენ ექაჩება საბანს და ცდილობს, დაანგრიოს კაბინეტი „თავისი პროვინციიდან“, უკეთესი პირობები შეუქმნას „ჩვენებურებს“. ეს ტენდენციები განსაკუთრებით შესამჩნევია აჭარასა და სამეგრელოში. თუკი „თავის პროვინციაზე“ შეფობის ტენდენციები არ აღიკვეთება, ყველაფერი ეს იძამდე მიგვიყვანს, რომ საძართველოს ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის როლი რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში ნულამდე დაეცემა. დაამყარეთ წესრიგი! ნურავის და ნურაფერს ნუ მოერიდებით!

იაკობი ფაშისტთა ტყვეობაში

სტალინი გაჩუმდა, მეორე ოთახში გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდაო. ხელში ფოტოსურათი ეჭირა. აკაკი მგელაძე შენიშნავს: უეცრად „შენობით“ დამელაპარაკაო.

აკაკი მგელაძე

— გახსოვს, ახალ ათონში იაშას ამბავს რომ მეკითხებოდი?

— როგორ არ მახსოვს, ამხანაგო სტალინ.

— გინახავს კი ოდესმე იაშა?

— არა, ამხანაგო სტალინ.

— აი, შეხედე, — სტალინმა მგელაძეს ფოტოსურათი გაუწოდა. — ხომ ნამდვილი ვაჟკაცია? (სტალინი ამ ფრაზას ქართულად წარმოთქვამს).

მგელაძე ქართულადვე სცემს პასუხს:

— დიახ, ამხანაგო სტალინ.

მერე მორიდებით ეკითხება:

— ხმები დადის, რომ ჰიტლერმა შემოგთავაზათ იაკობის გაცვლა ფელდმარშალ პაულუსზე. ეს ჭორია თუ მართალი?

სტალინმა თავი ჩაქინდრა და კარგა ხანს არ პასუხობდა. მერე თქვა:

— არა, ეს გამონაგონი არაა.

— და თქვენ უარი უთხარით? — გაოგნებით წამოუძახია მგელაძეს. — მართლა უარი უთხარით?

— ამხანაგო ვოლკოვ! (სტალინი მგელაძეს თურმე ასე ეძახდა; მოგონების ავტორი ამ ადგილას აღნიშნავს, რომ ასეთი მწუხარე, გულში ჩამწვდომი ხმა სტალინისა მანამდე არასოდეს სმენია). ფრონტზე თქვენც ხომ იყავით. მძიმედ დაჭრილს გრძნობა რომ დაგეკარგათ და გერმანელებს ტყვედ ჩავარდნოდით, თქვენ ფელდმარშალზე გაგცვლიდნენ?

— არა. ეს გასაგებიცაა, მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“, — სტალინმა სიტყვა გააწყვეტინა. — აბა დაფიქრდით, რამდენი ივანოვის, პეტროვის, სიდოროვის ვაჟიშვილი ჩავარდა გერმანელთა ტყვეობაში. მათი გაცვლა პაულუსზე თავში ვის მოუვიდოდა? განა ისინი იაკობზე უარესნი იყვნენ? და მილიონობით მამები ჩემზე, ჩვენს პარტიაზე, რას იტყოდნენ, თუკი მათ დავივიწყებდი და იაკობის გაცვლას დავთანხმდებოდი. არა, ამის უფლება ნამდვილად არ მქონია. ასე რომ მოვქცეულიყავი, მაშინ ხომ სტალინი აღარ ვიქნებოდი.

მერე ფოტოსურათი გამოართვა მგელაძეს. დიდხანს დაჰყურებდა. ბოლოს ამოიოხრა:

— ძალზე მებრალება იაშა. — და ხმადაბლა გააგრძელა სიტყვა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო. — მისი გაცვლის თაობაზე არაერთი წინადადება იყო, მაგრამ ყველას ხელი ვკარი და იაშას ცხოვრებაც ტრაგიკულად დასრულდა... ის კი სიცოცხლის ბოლომდე ვაჟკაცად დარჩა.

მერე ისევ ქართულად უთქვამს:

— დედამისი რაჭველი ქალი იყო, ხომ იცი?

— გამიგონია, ამხანაგო სტალინ.

მოგონების ავტორი გვაუწყებს, სტალინი ერთხანს დუმდა და მეც აღარაფერი მიკითხავსო. მერე ხელი მხარზე დაადო სტუმარს და იმ ოთახში გაიყვანა, სადაც პოლიტბიუროს წევრები ისხდნენ (ა. მგელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 197-199).

ეს არის და ეს. თავისი შინაარსითა და ზოგიერთი დეტალით (ქართულად წარმოთქმული ფრაზები, არაერთი წინადადება იაკობ ჯუღაშვილის გაცვლის თაობაზე, ჩვენ ხომ მხოლოდ პაულუსის ამბავი გვსმენია, უნიკალურ მოგონებად უნდა მივიჩნიოთ).

„ხომ ნამდვილი ვაჟკაცია?.. დედამისი რაჭველი ქალი იყო, ხომ იცი?..“

ქართველი კაცი ელაპარაკება ქართველ კაცს. გულახდილად ელაპარაკება იმ პიროვნებას, რომელიც, იმდროინდელი თბილისური მითქმა-მოთქმის თანახმად, მოსწონდა და ამბობდა, ჩემს ახალგაზრდობას მაგონებსო.

სტალინის შინაურული კილო აკაკი მგელაძის ჩანაწერს კიდევ უფრო დამაჯერებელსა და ეჭვმიუტანელს ხდის.

მაგრამ ამგვარი სენტიმენტები რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, იმ ავტორებისთვის, რომლებიც მოგვაგონებენ გზააბნეულ ტურისტებს, ჯიუტად რომ ლამობენ მრავალჯერადი ხმარებისგან შელახული და დაჟანგული ფარნებით გაანათონ XX საუკუნის მსოფლიო ისტორიის მრუმე ლაბირინთები.

თამაზ ნატროშვილი

მინაწერი:

აკაკი მგელაძე, სხვათა შორის, წერს: „უნდა შევნიშნო, რომ სტალინი ქართულ ლიტერატურულ ენას მშვენივრად ფლობდა. მას ასეთი წესი ჰქონდა: თუკი ქართველებთან შეხვედრისას, იქ თუნდაც ერთი კაცი იმყოფებოდა, რომელმაც ქართული არ იცოდა, სტალინი რუსულად ლაპარაკობდა. როდესაც მოსკოვიდან ტელეფონით მირეკავდა, უცდომლად ვხვდებოდი, კაბინეტში მარტო იყო თუ არა. თუკი მარტო იყო, მელაპარაკებოდა ქართულად, თუკი მარტო არ იყო, მაშინ, რუსულად. როდესაც მისი ქართული მესმოდა, ვფიქრობდი ხოლმე, ნეტავი ყველა ქართველმა დედაენა ასე კარგად იცოდეს, როგორც სტალინმა იცის-მეთქი“ (გვ. 209).

სიტყვამ მოიტანა და უნდა დავიმოწმო აგრეთვე თანამედროვე რუსი მკვლევარი ბორის ილიზაროვი, რომელიც თავის წიგნში „სტალინის იდუმალი ცხოვრება. მისი ბიბლიოთეკისა და არქივის მასალების მიხედვით“ (მოსკოვი, 2003, გვ. 225) ეხება სვეტლანა ალილუევას მტკიცებას, თითქოსდა სტალინს სიცოცხლის მიწურულში ქართული ენა თითქმის დავიწყებია. ბ. ილიზაროვი აღნიშნავს: „სტალინის არქივსა და მის ბიბლიოთეკაში არაერთი საბუთია იმისა, რომ მას ქართული ენა და წერაკითხვა არათუ დაავიწყდა, არამედ სიცოცხლის ბოლომდე ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის წიაღში ტრიალებდა. იგი ფიქრითაც, ვგონებ, ისევ ქართულად ფიქრობდა“.



„კონტრდაზვერვითი საფრთხე“ რუსეთიდან

აშშ-ის ფედერალური გამოძიების ბიუროს ცნობით, ნებისმიერი რუსული აპლიკაცია, მათ შორის პოპულარული „ფეისაპი“, აშშ-ისთვის „კონტრდაზვერვით საფრთხეს“ წარმოადგენს. ამის შესახებ ნათქვამია წერილში, რომელიც საგამოძიებო უწყებამ სენატორ ჩაკ შუმერს გადაუგზავნა.

ფედერალურ საგამოძიებო ბიუროში აცხადებენ, რომ რუსული აპლიკაციების მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს პროგრამები აშშ-სთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს.

წერილში ნათქვამია, რომ რუსულ სპეცსამსახურებს აქვთ შესაძლებლობა, ინტერნეტ პროვაიდერების თანხმობის გარეშე მიიღონ წვდომა ინფორმაციასთან, რომელსაც რუსული აპლიკაციები აგროვებენ.

როგორც „ეფ-ბი-აი“-ში ამბობენ, თუ გამოვლინდა, რომ „ფეისაპის“ გამოყენებით რუსეთი ზეგავლენის მოხდენას ცდილობს არჩეულ პირებზე, პოლიტიკურ კამპანიასა და პარტიებზე, მაშინ საგამოძიებო უწყება შესაბამის ზომებს მიმართავს.

„ფეისაპი“ პეტერბურგში დაფუძნებული კომპანიის „ვაირლეს ლაბის“ პროდუქტია. ამ კომპანიის ხელმძღვანელი „იანდექსის“ ყოფილი თანამშრომელი იაროსლავ გონჩაროვია. აპლიკაცია სოციალური ქსელების მომხმარებლების ფოტოებთან წვდომას ითხოვს და შესაბამისად ამ ინფორმაციას აგროვებს.

„ვაირლეს ლაბში“ აცხადებენ, რომ მათ მიერ შეგროვებულ მონაცემებთან მესამე პირებს წვდომა არა აქვთ.

„უცხოეთის აგენტები“

რუსეთის **პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონის მიხედვით, გაფართოვდება იმ მედიასაშუალებების ნუსხა, რომელთაც კრემლი „უცხოეთის აგენტებად“ აღიარებს. კანონის მიხედვით „უცხოეთის აგენტის“ სტატუსი შეიძლება მიენიჭოს არა მხოლოდ მედიასაშუალებას, არამედ ფიზიკურ პირებს, რომლებიც მედიაში ინფორმაციას ავრცელებენ, ან იღებენ მონაწილეობას მასალის მომზადებაში და იღებენ ფულად ანაზღაურებას უცხოეთიდან.**

კანონში შეტანილი ეს ცვლილება საშუალებას იძლევა, „უცხოეთის აგენტად“ გამოაცხადონ ნებისმიერ ადამიანი, ვინც სოციალური ქსელებით „უცხოეთის აგენტად“ გამოცხადებული მედიასაშუალებების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას გააზიარებს. ამ კანონთან დაკავშირებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეშფოთება გამოთქვა.

ორდენპარიები

ბერლინში, შტაზის მუზეუმიდან კარლ მარქსისა და ლენინის ორდენი მოიპარეს. როგორც მუზეუმის დირექტორი იუწყება, ასევე მოპარულია საყურე, მარგალიტის ბეჭედი, ოქროს საათი და ოქროს ქრონომეტრი. მოპარული ნივთების ღირებულება ათასობით ევროს აღწევს.

შეგახსენებთ, 25 ნოემბერს ასევე გაქურდეს დრეზდენის მუზეუმი, საიდანაც ერთი მილიარდი ევროს ღირებულების უნიკალური ნივთები მოიპარეს.

პატივგება

Zentrum fur Politische Schunheit-ის ჯგუფის მხატვრებმა ბერლინში, რაიხსტაგის წინ მონუმენტი „წინააღმდეგობის კოლონა“ დადგეს, რომელიც ფერფლისა და ძვლებისგან შედგება და ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულთა ხსოვნას ეძღვნება.

ამ მონუმენტისთვის სპეციალისტებმა პატიმრების მასობრივი დახოცვის 23 ადგილი შეისწავლეს. ეს ადგილები დღეს გერმანიის, პოლონეთისა და უკრაინის ტერიტორიებზე მდებარეობს. მათივე თქმით, მათ დაღუპულთა სხეულის ნაწილები თითქმის ყველგან იპოვეს.

რას გვიქადის სოხუმის პორტის დაღრმავება

ᲡᲐᲜᲐᲛ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ბედი ამ დრომდე სასწორზე დევს, სოხუმის პორტი რვა მეტრით დაღრმავეს. მართალია, ამ ეტაპზე ღრმაწყლოვან პორტზე საუბარი არ არის, თუმცა ვინაიდან ადგილზე ეფექტურ კონტროლს კრემლი ახორციელებს, ქართველი ანალიტიკოსები ნებისმიერი სახის მსგავს აქტივობას ეჭვით უყურებენ.

როგორც დაანონსდა, სოხუმის პორტი საკრუიზო ლაინერების მიღებას გეგმავს. თუმცა სპეციალისტი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲑᲠᲝᲜᲘᲫᲔ** აღნიშნულ ინფრასტრუქტურას შავი ზღვის აუზში რუსეთის სამხედრო აღმშენებლობის ნაწილად განიხილავს.

მისი შეფასებით, ახალი ინფრასტრუქტურა რუსეთს შავი ზღვის სანაპიროზე დამატებით პოზიციას აძლევს.

„იმ ფონზე, როდესაც ჩრდილატლანტიკური ალიანსისთვის შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართულება პრიორიტეტულია, შავ ზღვაზე პოზიციების გაძლიერება პრიორიტეტს წარმოადგენს რუსეთისთვისაც. როდესაც აფხაზეთში საკრუიზო მიმართულებებზე — ტურიზმის განვითარებაზე საუბრობენ, მოდი, გადავხედოთ, რომელი ქვეყნის გემები შედიან აფხაზეთის პორტებში. ესაა პანამის, ლიბერიის და სხვა იმ ქვეყნების დროშების ქვეშ მცურავი გემები, რომლებიც არცთუ ლეგალურ ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ. ამდენად, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ განსაკუთრებული საკრუიზო ლაინერები შევლენ აფხაზეთში, ან აფხაზეთს ჰქონდეს რესურსი, ამ მიმართულებით ტურიზმი განავითაროს. ასევე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ხომალდებს, რომლებიც კრასნოდარის მხარეს ან რუსეთის შავი ზღვის სანაპიროში მოძრაობენ, კიდევ 7 მეტრით სჭირდებოდეთ პორტის დაღრმავება: რუსული წარმოების ტურისტულ ხომალდებს საბჭოთა დროსაც მშვენივრად იღებდა სოხუმის პორტი. ამდენად, ნებისმიერი მსგავსი ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილება უნდა განვიხილოთ სამხედრო ჭრილში, როგორც ამ რეგიონში რუსეთის სამხედრო აღმშენებლობის ნაწილი“, — ამბობს გობრონიძე.

მისი შეფასებით, ეს პრობლემაა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ დანარჩენი თანამეგობრობისთვის, განსაკუთრებით ნატოსთვის, რომლის ძირითადი მოწინააღმდეგე შავი ზღვის აუზში რუსეთის ფედერაციაა:

„რუსეთი ღიად შეტევითი რეალიზმის პარადიგმაში უყურებს პროცესებს: ცდილობს, ე.წ. თბილ ზღვებში და სამხრეთის გასასვლელებში დასავლელ „მოწინააღმდეგეებს“ დაასწროს პოზიციების გამაგრება. ეს მიმართულება უპირობოდ იქნება გამოყენებული სამხედრო თვალსაზრისით. შავი ზღვის ფლოტის გაძლიერების პროცესში რუსეთი ეცდება, დაამატოს კრეისერის ტიპის ხომალდები და ა.შ. დღეს რუსეთს შავ ზღვაზე აქვს ორი ფუნდამენტური დასაყრდენი: სევასტოპოლის სამხედრო ბაზა — რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ძირითადი ბირთვი და ნოვოროსიისკის ბაზა, რომელიც არ გამოდგება ოპერაციებისთვის, რადგან არ არის ღრმაწყლოვანი და ზამთარში იმისათვის, რომ ფლოტი მხოლოდ ერთ ადგილზე არ იყოს კონცენტრირებული, რუსეთს შავი ზღვის რეგიონის უკეთ გასაკონტროლებლად ძალთა გადანაწილება სჭირდება“.

გობრონიძის აზრით, შექმნილ ვითარებაში ადეკვატური იქნებოდა იმ რისკების სრულფასოვანი შეფასება, რომლის წინაშეც ხსენებული ინფრასტრუქტურული პროექტის შემდეგ დგებიან რეგიონში საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოები.„ჩვენ საზღვაო-სამხედრო ძალები არ გაგვაჩნია, ამდენად, რუსეთი აფხაზეთში კრეისერს დააყენებს, ავიამზიდს თუ ტივს — ჩვენთვის თანაბრად საშიშია. ეს უნდა იქცეს თავისტკივილად იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც შავ ზღვაში ჩვენზე მეტი ინტერესი აქვთ და რომელთა პოზიციებსაც შავ ზღვაში პირდაპირ საფრთხეს უქმნის მსგავსი ხასიათის ინფრასტრუქტურული პროექტები. საქმის კურსში ჩაყენებას უნდა მოჰყვეს შავი ზღვის აუზში უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმების მოთხოვნა“.

ამასთან, ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ზოგადად საქართველოს ოკუპირებული რეგიონებისადმი ოფიციალური თბილისის პოზიცია ბუნდოვანია:

„ჩემთვის ბუნდოვანია, საერთაშორისო ინსტიტუტებისადმი აქამდე რატომ არ ხდება მიმართვა, რომ ყველა იმ კომპანიას, ჯგუფს, ორგანიზაციას, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე აწარმოებს რაიმე სახის ეკონომიკურ საქმიანობას ან ტვირთების გადაზიდვას, დაუწესდეს საერთაშორისო სანქციები. იგივე რუსი გადამზიდავებისთვისაც კი ეს უნდა იყოს დისკომფორტის შემქმნელი. კარგად ვიცით, რომ აფხაზეთიდან ხე-ტყე, ინერტული მასალა დიდი ოდენობით გააქვთ, აფხაზეთის ეკოლოგიას სრულ ექსპლუატაციას უწევენ. ჩვენ გვჭირდება მკაფიო პოლიტიკა, რა გვინდა აფხაზეთისგან. მე ისიც ვერ გავიგე, ამ რეგიონის იზოლირების გზით მივდივართ, თუ დეიზოლაციის. პირადად მე ვფიქრობ, რომ თუ ისინი ჩვენი თამაშის წესებს არ იღებენ, მაშინ იზოლაციის გზით უნდა წავიდეთ. მოგეხსენებათ, ჩვენ გვაქვს სამშვიდობო სტრატეგია, პასუხად კი ვიღებთ, რომ თურმე, ქართველის სიცოცხლე არაფერს ნიშნავს; ვიღებთ ჰუმანიტარულ კატასტროფას გალსა და ახალგორში; გვპასუხობენ, „ჯერ ჩვენი სტატუსი აღიარეთ და შემდეგ ვისაუბროთ რაიმე ტიპის კომუნიკაციაზეო“. ჩვენ კი ამ დროს არასათანადოდ ვცდილობთ, შეიქმნას რაიმე ტიპის პრობლემები მათთვის, ვინც აფხაზეთის ტერიტორიაზე რაიმე სახის ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა“.

რაც შეეხება პორტის დაღრმავებით მოსალოდნელ ეკონომიკურ სარგებელს, HUB Georgia-ს ექსპერტი **ᲞᲐᲐᲢᲐ ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ** სამ მიმართულებას ასახელებს:

- **საკრუიზო მიმართულება;**
- **საზღვაო კავშირები, იგივე თურქეთთან;**
- **სარკინიგზო გადაზიდვების გააქტიურება.**

ამასთან, ანალიტიკოსი კატეგორიულად არ ელის იმას, რომ იგივე აფხაზეთის სტატუს-კვოდან გამომდინარე, სოხუმის პორტი სატრანსპორტო ქსელში რეგიონული მოთამაშე გახდება.

„დაღრმავება სოხუმის პორტს აძლევს შესაძლებლობას, რუსეთთან საიმედო სატრანსპორტო კავშირი დაამყაროს: რუსეთიდან შემოვლენ საკრუიზო გემები, რაც ტურიზმის განვითარებას კარგ ბიძგს მისცემს. საკრუიზო გემები ტურისტული ბიზნესის განვთარებისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური თვალსაზრისითაც; ადვილად არის შესაძლებელი, მყარი კონტაქტი დამყარდეს თუნდაც თურქეთთან: აფხაზეთსა და თურქეთს შორის საზღვაო მიმოსვლა არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ თბილისს ამის უკანონობა არაერთგზის დაუფიქსირებია. ტყვარჩელის ქვანახშირი გადადის თურქეთში ოჩამჩირის პორტიდან და შესაძლოა, სოხუმიდანაც გადაიზიდოს სხვადასხვა ტვირთები. აფხაზეთში მაღალი ხარისხის ქვანახშირია, ხოლო თურქეთს ქვანახშირის მაღალი მოთხოვნა აქვს საკუთარი მოხმარებისთვის. ნაწილი ყაზახეთიდან მიაქვს საქართველოს გავლით, ცენტრალური რუსეთიდანაც. აფხაზეთი ძალიან ახლოსაა. იგი საკითხს უყურებს ფინანსური თვალსაზრისით და ახორციელებს ამ გადაზიდვებს“.

პორტის გაძლიერების შემთხვევაში ანალიტიკოსი სარკინიგზო ხაზის აქტუალიზებას პროგნოზირებს:

„თუ პორტი გაძლიერდა და მოხდა დამატებითი ტვირთების გადაზიდვა, თუნდაც თურქეთის მიმართულებით, ეს სარკინიგზო ტრანსპორტის გადაზიდვის განვითარებას მისცემს ბიძგს — სარკინიგზო გადაზიდვაზე მოთხოვნა გაიზრდება. სადღეისოდ, ვინაიდან საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე ტვირთების გადაზიდვის მოთხოვნა არ არის, აფხაზეთის რკინიგზა წამგებიანია და თუ მას მყარი საფუძვლები ექნება საზღვაო გადაზიდვების სახით, იგივე თურქეთის მიმართულებით, რა თქმა უნდა, რკინიგზა აქტუალური გახდება“.



ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲘ�გᲜᲐᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡᲐ და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებზე თავდასხმის შემთხვევაში, ნატოს ყველა მოკავშირის პასუხი მოჰყვება, — ეს განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ლონდონში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ლიდერების შეხვედრის დაწყებამდე გამოქვეყნებულ ინტერვიუში გააკეთა.

„პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ნატოს ძალების დისლოციებით, ჩვენ ძლიერ სიგნალს ვუგზავნით რუსეთს: პოლონეთზე, ან ბალტიისპირეთის სახელმწიფოებზე თავდასხმას ნატოს ყველა მოკავშირის ერთიანი პასუხი მოჰყვება“, — განაცხადა სტოლტენბერგმა. ამავე ინტერვიუში ნატო-ს გენერალური მდივანი ამბობს, რომ ევროკავშირის მიერ თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას არ ეწინააღმდეგება, თუმცა ნატოს ჩანაცვლება აზრს მოკლებულია“.

ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ 2,5 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲔᲜ

ᲒᲐᲔᲠᲝᲡ მონაცემებით, ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიების ოკუპაციის გამო, პალესტინის ავტონომიის ეკონომიკა ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში წელიწადში 2,5 მილიარდ დოლარზე მეტს კარგავს. 2000-დან 2017 წლამდე პალესტინელების დანაკარგი 47,7 მილიარდ დოლარს შეადგენს, — ნათქვამია გაეროს მოხსენებაში. ამ დროისთვის პალესტინის ბიუჯეტის დეფიციტი 17,7 მილიარდ დოლარს შეადგენს. ისრაელმა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპირო, იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილი და სირიის კუთვნილი გოლანის მაღლობები 1967 წლის 6-დღიანი ომის შედეგად დაიკავა. გაერო ამ ტერიტორიებს ოკუპირებულად მიიჩნევს.

ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ... ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲡ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, რომ წლის დასასრული ახლოვდება და აშშ-ზეა დამოკიდებული, თუ რა საშობაო საჩუქარს აირჩევს, რომელსაც ჩვენგან მიიღებს, — განაცხადა კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ რი ტი სონგმა. ოფიციალურ ფხენიანს არ უთქვამს, რა ვადა იყო განსაზღვრული განცხადებაში. აპრილში ჩრდილოეთი კორეის სახელმწიფო მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ლიდერმა კიმ ჩენ ინმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა,

რომ იგი ელოდება ამ წლის ბოლომდე აშშ-ისგან შეცვალოს მიდგომები დენუკლეარიზაციასთან დაკავშირებით, დამატებითი დეტალების გარეშე.

„აშშ-ის მიერ წარმოებული დიალოგი, სინამდვილეში, არაფერია, თუ არა უგუნური ხრიკი, რომელსაც წარმატებულად გამოიყენებს შიდა პოლიტიკური სიტუაციისთვის და საარჩევნო კამპანიისთვის“, — ნათქვამია ჩრდილოეთ კორეის ოფიციალურ განცხადებაში.

ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲖᲔ

ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ადმინისტრაცია 2.4 მილიარდის ღირებულების ფრანგულ პროდუქციაზე ტარიფების დაწესებას გეგმავს. ტარიფების პროექტი საფრანგეთის მიერ ციფრული კომპანიების მომსახურებაზე გადასახდების დაწესებაზე პასუხია, რომელიც ისეთ ამერიკულ კომპანიებზე ვრცელდება, როგორებიცაა Amazon-ი, Apple-ი, Facebook-ი და Google-ი.

აშშ-ში აცხადებენ, რომ 100%-მდე ტარიფი შესაძლოა, 63 ფრანგულ პროდუქტზე დაწესდეს, მათ შორის ყველზე, შამპანურზე, ჩანთებსა და კოსმეტიკაზე. თეთრ სახლში აცხადებენ, რომ ტარიფების დაწესების შემდეგ სხვა ქვეყნებს ამერიკული კომპანიებისთვის დამატებითი გადასახდების დაკისრების სურვილი არ გაუჩნდებათ. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა ბრუნო ლე მერმა აშშ-ის გეგმებს მიუღებელი უწოდა. „ახალი სანქციების შემთხვევაში, ევროპული კავშირი აშშ-ს საკადრის პასუხს გასცემს“, — თქვა მან.

„ქართული გალობა“: არტემ ერქომაიშვილის პრემიის ახალი ლაურეატები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა არტემ ერქომაიშვილის სახელობის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა. მინისტრმა სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და ხაზი გაუსვა ქართული პოლიფონიისა და საგალობლების შესწავლისა და პოპულარიზაციის მნიშვნელობას ახალგაზრდა თაობაში.

„არსად ისე არ ჩანს ჩვენი ხასიათი, როგორც ქართულ მრავალხმიანობაში. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მარგალიტი სწორედ ჩვენი საგალობლები და მრავალხმიანობაა. მსურს, მადლობა გადავუხადო მის უწმინდესობას და ფონდ „ქართული გალობის“ დამაარსებელს, ბატონ ვანო ჩხარტიშვილსა და მის ოჯახს ქართული გალობის აღორძინებასა და ამ დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ ქართული კულტურა სწორედ გალობითა და ჩვენი უნიკალური პოლიფონიით გაიცნო. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მრავალხმიანობა და საგალობლები მომავალ თაობებს გადავცეთ“, — განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ფონდი „ქართული გალობა“ არტემ ერქომაიშვილის სახელობის პრემიას 2016 წლიდან ყოველწლიურად გასცემს გალობის სფეროში საუკეთესო სამეცნიერო კვლევებისა და ქართული ტრადიციული გალობის შემსრულებელი საუკეთესო საეკლესიო გუნდების გამოსავლენად.

წელს პრემია გადაეცა თბილისის ბიჭვინთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდს „იალონი“, რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდს, ოზურგეთის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძრის მგალობელ-მომღერალთა ტრიოს „რეხეული“ და ქუთაისის ავტოქარხნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდს.

ფონდი „ქართული გალობა“ 2012 წელს დაარსდა და მიზნად ისახავს ქართული გალობა-სიმღერისა და ტრადიციული ხელოვნების სხვა დარგების თანადგომას, მათ განვითარება-პოპულარიზაციასა და მეცნიერული კვლევების ხელშეწყობას.

კარგი ბედი, „საბედიანოვ“!

ზუგდიდში 2002 წელს დაარსებული და 2017 წელს გაუქმებული საზოგადოება „გალელი“ ამ დღეებში ხელახლა დაარსდა და მას სათავეში ჩაუდგა გალის მკვიდრი გიგო ფარულავა (მისი ვაჟიშვილი ზუგდიდის მერის პირველი მოადგილეა). პრეზენტაციას ესწრებოდნენ ზუგდიდში განთავსებული დევნილები გალიდან და ასევე, თბილისში მოქმედი ზოგადოება „სამურზაყანოს“ თავმჯდომარე მურმან ყოლბაია და აფხაზეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია.

ზუგდიდში განთავსებული დევნილთა სამედიცინო პოლიკლინიკის დირექტორის, ამ საზოგადოების გამგეობის წევრის ოთარ შენგელიას განცხადებით, საზოგადოება „გალელი“ იქნება შუამავალი გალის მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. **„ერთ დროს გვაგინებდნენ გალელებს, თითქოს პასიური მონაწილეობა მივიღეთ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში და ეს იყო პროვოკაცია, უნდოდა ერთმანეთს დავპირისპირებოდით, მაგრამ არ გამოუვიდათ. გალელები ყველგან არიან და ეს საზოგადოება მათ საკეთილდღეოდ არის შექმნილი. 30-40 ათასი ადამიანი ცხოვრობს გალის რაიონში. იქ ისინი მძიმე პირობებში იმყოფებიან. მთელი აფხაზეთის ნაგავსაყრელი მოაწყვეს გალში. გაგრიდან, გუდაუთიდან, სოხუმიდან, ოჩამჩირიდან ნაგავი მოაქვთ გალის რაიონში და ჩვენ გვინდა, ეს საკითხი დავაყენოთ ჟენევის მოლაპარაკებაზე“,** — აღნიშნა ოთარ შენგელიამ.

საზოგადოება „გალელის“, ახლადარჩეული თავმჯდომარე გიგო ფარულავა, ტრაგედიას იმაში ვერ ხედავს, რომ გალელებს აიძულებენ აფხაზად ჩაეწეროს. **„პირიქით მივესალმები, ისინი იქ შეზღუდულები არიან. აფხაზად ჩაწერის შემთხვევაში, აქტიურად ჩაერთვებიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. მთავარია, რომ ისინი სულიერად ქართველებად დარჩნენ. ჩვენი მიზანია, დავუახლოვდეთ ენგურს გაღმა მცხოვრებ თანამემამულეებს“,** — განაცხადა გიგო ფარულავამ.

ამ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ თბილისში მოქმედი საზოგადოება „სამურზაყანო“ ხელს არ უშლის „გალელის“ ფუნქციონირებას. ხაზი გაესვა იმას, რომ სამურზაყანოს, ანუ გალის რაიონს, უდიდესი როლი ეკისრება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში. შეთანხმდნენ, რომ გალის რაიონის სახელით არსებული ყველა სტრუქტურა და ორგანიზაცია გაერთიანდეს, დაერქვას „საბედიანო“ და წელიწადში ერთხელ, თბილისსა თუ ზუგდიდში ჩატარდეს „ბედიანობა“. ამისთვის კი უნდა შეიქმნას ფონდი, რომელსაც გალელი ბიზნესმენები დააფინანსებენ.

ლადო ქირია, ზუგდიდი.

თავიდან ავიცილოთ კატასტროფების რისკები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის ორგანიზებით, „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

ორდღიანი შეხვედრა მიზნად ისახავდა პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობებში მედიის მნიშვნელობისა და როლის ხაზგასმას. შეხვედრის ფარგლებში მედიის წარმომადგენლებმა მოისმინეს პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე გაეცნენ ინფორმაციას საქართველოში არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური საფრთხეების შესახებ დაგეგმილი ღონისძიებების და ამ პროცესებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობისა და შესაძლებლობების გაძლიერების თაობაზე.

პროექტი „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“, რომლის საერთო ბიუჯეტი 70 მილიონი აშშ დოლარია, 7 წლის განმავლობაში განხორციელდება და მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილებით განპირობებული ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებას, ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარებას და მრავალფაქტორიანი საფრთხეების მართვის ეფექტიანი ეროვნული სისტემის დანერგვას, რაც უზრუნველყოფს საქართველოში მცხოვრები 1.7 მილიონი ადამიანის წყალდიდობისგან, წყალმოვარდნისგან, გვალვისა და სხვა კლიმატური საფრთხეებისგან დაცვას.

მილიონობით დოლარი ურბანული გარემოს გაუმჯობესებისთვის

აზიის განვითარების ბანკმა (ADB) საქართველოსთვის 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი დაამტკიცა. აღნიშნული თანხა მოსამზადებელი და საპროექტო სამუშაოებზე დაიხარჯება, რომელთა მიზანი საქართველოს ქალაქებში ინფრასტრუქტურისა და სერვისების გაუმჯობესებაა.



ბანკში აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდა არათანაბრად მიმდინარეობდა, რამაც სამუშაო ადგილების პოვნისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით მოსახლეობის დიდი ნაწილის რაიონული ცენტრებიდან თბილისში მიგრაცია გამოიწვია. დღეს ეროვნული შიდა პროდუქტის 70 პროცენტი თბილისზე მოდის და დედაქალაქში ქვეყნის ურბანული მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს.

აღნიშნული სესხი საქართველოს მთავრობას საშუალებას მისცემს, დაიწყოს ტექნიკური მოკვლევითი ანალიზი, დაგეგმოს ინფრასტრუქტურული პროექტები და ჩაატაროს სხვა მოსამზადებელი სამუშაოები ADB-ის „საქართველოს ქალაქების მდგრადი განვითარების ინვესტირების“ პროგრამისთვის, რომლის დაწყება 2020 წლის მიწურულს იგეგმება. პროგრამის მიზანია საქართველოს ურბანული გარემოს ინფრასტრუქტურისა და მობილობის გაუმჯობესება და მდგრადი განვითარება განსაკუთრებით ხანდაზმული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსახლეობისთვის, ქალებისა და ბავშვებისთვის.

ასევე, პროგრამის მიზანია საქართველოს ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა, რასაც ADB ოთხ რეგიონულ ტურისტულ კლასტერში ინვესტირებით გეგმავს. ეს მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოში თელავის, გურჯაანისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებს, ინვესტიციებს ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით ზუგდიდსა და მესტია-უშგულში და მეტ ინფრასტრუქტურულ განვითარებას დედაქალაქში. გასულ წელს საქართველოს 3.5 მილიონი ტურისტი ეწვია და 2028 წლისათვის ყოველწლიურად ექვს მილიონზე მეტ ტურისტს ელოდებიან.

◎ იმედი

ურუშაძის „ვერცხლი“

15 წლის ქართველმა ფიგურულად მოციგურავე ალინა ურუშაძემ წარმატებით იასპარეზა სტამბოლში გამართულ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე.

მან ძალები „ბოსფორის თასის“ გათამაშების სენიორების კატეგორიაში მოსინჯა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

აღნიშნულ შეჯიბრებაში 14 გოგონა ჩაება და მოკლე პროგრამის შემდეგ ალინა 56.68 ქულით (30.93 ტექნიკური ელემენტებისთვის +26.75 პროგრამული კომპონენტებისთვის) საერთოდაც პირველ ადგილზე იყო.

ქართველ სპორტსმენს 100.23 ქულა (47.11 ტექნიკური ელემენტებისთვის +54.12 პროგრამული კომპონენტებისთვის) ერგო თავისუფალ პროგრამაში, რაც მე-2 შედეგი იყო და ჯამური 156.91 ქულაც მე-2 მაჩვენებელი აღმოჩნდა.

ურუშაძე მხოლოდ ავსტრიელ ოლგა მიკუტინას ჩამორჩა, რომელმაც 166.56 ქულა მოაგროვა.

„ბოსფორის თასზე“ კაცთა სენიორების კატეგორიაში გამოვიდა 19 წლის ირაკლი მაისურაძე, რომელიც მოკლე პროგრამაში 68.78 ქულით მე-4 იყო, თავისუფალ პროგრამაში კი მე-6 პოზიცია (119.51) დაიკავა და ჯამურადაც მე-6 (188.29) გახლდათ. ჩემპიონი რუსი მარკ კონდრატიკი გახდა 213.47 ქულით.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ლაურეატი

მესი - მეექვსედ!

კატალონიის „ბარსელონას“ ლეგენდამ ლიონელ მესიმ მორიგი აღიარების შემდეგ აღნიშნა, რომ წლების წინათ ვერ წარმოიდგენდა მეექვსე „ოქროს ბურთის“ მოგებას. მანვე დასძინა, რომ წლები მიფრინავს და ასეთი ლამაზი მომენტებისგან სიამოვნების მაქსიმალური მიღებაა საჭირო.



„მინდა, მადლობა ვუთხრა ჟურნალისტებს, რომლებმაც ხმა მომცეს, ჩემს თანაგუნდელებს, კლუბსა და ეროვნულ ნაკრებს. თქვენ მომეცით შესაძლებლობა, შესანიშნავი წელი მქონოდა ტურნირებში გამარჯვებებთან და წაგებებთან ერთად. თქვენ ამ ჯილდოს ნაწილი ხართ. როდესაც პირველი „ოქროს ბურთი“ მოვიპოვე, 22 წლის ვიყავი და მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ მეექვსე „ოქროს ბურთს“ ჩემი მეუღლისა და სამი შვილის თვალწინ მოვიგებდი.

ვიცი ჩემი ასაკი და ამიტომ ეს მომენტი კიდევ უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებს. დრო მიფრინავს, ძალიან სწრაფად გადის, ამიტომ სიამოვნების მიღებაა საჭირო. ინდივიდუალური ჯილდოები მნიშვნელოვანია, მაგრამ ყოველთვის მეორეხარისხოვანია გუნდურ ტიტულებთან შედარებით. ეს ჯილდო ჩემს თანაგუნდელებსაც ეკუთვნით, — განაცხადა მესიმ.

შეგახსენებთ, რომ არგენტინელმა სუპერვარსკვლავმა „ოქროს ბურთი“ 2009, 2010, 2011, 2012 და 2015 წლებშიც მოიგო. ახლა იგი რეკორდმენია და კრიშტიანუ რონალდუ, რომელსაც ხუთი „ოქროს ბურთი“ (2008, 2013, 2014, 2016, 2017) აქვს, უკან მოიტოვა.

აღსანიშნავია, რომ ეს პრიზი „ფრანს ფუტბოლმა“ დააწესა და მის მფლობელს ჟურნალისტები ირჩევენ.

პარიზში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე განვლილი სეზონის ლაურეატები სხვა ნომინაციებშიც გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ:

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი — მატეის დე ლიხტი (ჰოლანდია).

საუკეთესო მეკარე — ალისონი (ბრაზილია).

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ქალი — მეგან რაპინო (აშშ).

საუკეთესო ათეული: მესი, ვან დეიკი, რონალდუ, მანე, სალაჰი, მბაპე, ალისონი, ლევანდოვსკი, ბერნარდო სილვა, მაჰრეზი.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

სერბ ნახევარმცველ ადამ ლაიჩის ყოფილი საყვარელი, მოდელი სოფია მილოშევიჩი ბედოვლათ პარტნიორთან განშორების შემდეგ ბევრად უფრო პოპულარული და აღიარებული ასული გახდა. ამ წარმატების საიდუმლო, რა გასაკვირია, რომ თამამ ფოტოსესიებში იმალება.

სოფია მილოშევიჩმა ფრთები გაშალა

თუკი აქამდე ლამაზმანი მხოლოდ სერიოზულ და მნიშვნელოვან ჩვენებებში მონაწილეობდა, სადაც სამოდელო საქმის მსოფლიო ბომონდი იყრიდა თავს, ახლა გადაწყვიტა „გაყვითლებულიყო“ და ფერადყდიანი ჟურნალებისთვის ტიტლიკანად პოზირებებსაც მოუხშირა. ცხადია, ამან შედეგი მალევე გამოიღო.

სოფია ახლა უკვე გაბედულად ამბობს, რომ ადამ ლაიჩთან თანაყოფა შეცდომა იყო, რადგან სერბი ფეხბურთელი მეტად ეჭვიანი ვინმე გახლდათ და გულისსწორს „ფრთების გაშლას“ უკრძალავდა. ახლა კი, როდესაც თავისუფლება ხელშესახებია, მილოშევიჩის ქალმაც ინავარდა და, აი, შედეგიც!

გეჟან დოლიძე

◎ ჭიდაობა



სეზონის ფინიშზე

რუსეთის დედაქალაქში დასრულდა საერთაშორისო გალა-ტურნირი — „მოსკოვის გრან-პრი“, რომელიც არასტანდარტული ფორმატით ჩატარდა. ჯერ პირადი პირველობა გაიმართა, რომელშიც საქართველოს თავისუფალი სტილის ფალავანთა ნაკრების წევრებმა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა (74 კგ) ავთო კენჭაძემ და მსოფლიოს პრიზიორმა ელიზბარ ოდიკაძემ (97 კგ) ფინალში გასვლა შეძლეს, „ვერცხლი“ დაიმსახურეს და ავტომატურად მოიპოვეს მსოფლიოს ნაკრებში გამოსვლის უფლება.

როგორც წინასწარ იყო დაგეგმილი, ფინალისტებმა მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში რუსეთის წინააღმდეგ იჭიდავეს და... 1:11 დამარცხდნენ.

კენჭაძე, რომელმაც პარასკევს აზერბაიჯანელი **ჰაჯიმურად გაჯიევი** 12:2 დაჯაბნა, მისთვის ნაცნობ მეტოქეს **თემურ ბიჟოევს** შეხვდა და 1:2 წააგო, ოდიკაძემ კი, რომელიც **გენო პეტრიაშვილის** ნაცვლად ასპარეზობდა და მანამდე ბელარუს **პიასნიაკს** 10:0 მოუგო, ფინალი 0:2 დათმო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **ბილიალ მახოვთან**

დავძენთ, რომ 82 კილოში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ლადო ხინჩეგაშვილმა**, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში გვინეის წარმომადგენელ **კუმბა მბუნდეს** 5:3 სძლია.

მანუჩარ გიორგაძე

◎ თაობა

გრანდთან - ტოლ-სწორად

„უმცროს ბორჯღალოსნებს“ სამხრეთაფრიკელ თანატოლებთან ტესტ-მატჩში ისტორიული პირველი გამარჯვების მოპოვების კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ გამოცდილმა მეტოქემ მათ მიერ დაშვებული შეცდომები მაქსიმალურად გამოიყენა და ერთი ზედმეტი გარდასახული ლელოთი 28:21 იმარჯვა.

ეს იყო მსოფლიო რაგბის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის პირველი მოსამზადებელი შეხვედრა და ორივე გუნდის მწვრთნელებს შედეგზე მეტად თამაშის ხარისხი და კანდიდატების რეალურ წნეხში ნახვა სურდათ. მორაგბეებმაც თავი არ დაზოგეს, მოედანზე მთელი 80 წუთის განმავლობაში უშეღავათო ბრძოლა გააჩაღეს და ტოლ-სწორთა ღირსეული ჯარი გამოვიდა.

სტუმართა მორაგბეები ფიზიკური აღნაგობით გამოირჩეოდნენ და ბურთსაც სწრაფად შლიდნენ, თუმცა, მეტოქეს არც „უმცროსი ბორჯღალოსნები“ ჩამორჩნენ და ტრიბუნაზე შეკრებილი 1000-მდე მაყურებელი საბა კურატაშვილისა და გიორგი მარგალიტაძის ორი ლამაზი ლელოთი გაახარეს. აღსანიშნავია, რომ ამ ფორმაციის ნაკრებისთვის ეს სადებიუტო თამაში იყო და პირველად 20-წლამდელთა მზადების პერიოდში მეტოქე უმაღლესი დონისა გახლდათ.

სერიის მეორე შეხვედრა საქართველოსა და სამხრეთ აფრიკის 19-წლამდელთა შორის ხვალაც „შევარდენზე“ 11 საათზე დაიწყება და „უმცროს ბორჯღალოსნებს“ რევანშის აღების შანსი ექნებათ.

მეტოქის სიძლიერის გათვალისწინებით, თამაშით კმაყოფილი იყო „უმცროს ბორჯღალოსანთა“ მწვრთნელი **ლადო კილასონია:**

„შეხვედრას დადებითად ვაფასებ, რადგან ვეთამაშეთ სამხრეთ აფრიკის ნაკრებს, თუმცა, როდესაც გამარჯვების რეალურ შანსს ხელიდან გაუშვებ, გულდასაწყვეტია. პირველი ნახევარი კარგი იყო, მეორე ტაიმში კი სტრატეგიული და ტექნიკური შეცდომები დავუშვით, განსაკუთრებით დარტყმა-დახურვაში, რის გამოც 20 წუთი ჩვენს ნახევარზე გავატარეთ, ასეთი დონის გუნდები კი მსგავს შეცდომებს არ პატიობენ. ბიჭები ბოლომდე დაიხარჯნენ, მაგრამ რაღაც დაგვაკლდა. მეორე მატჩამდე სულ სამი დღეა დარჩენილი და კარდინალური ცვლილებები ვერ მოესწრება. ეს დრო აღდგენა-დასვენებას დაეთმობა, მხოლოდ ერთი ვარჯიში გვექნება და დარწმუნებული ვარ, 5 დეკემბერს უკეთესი თამაში იქნება“.

კობა კობახიძე

◎ პატივგება

სამშობლოში - პირველად!

შვეიცარიაში ლეგენდარულ ჩოგბურთელ როჯერ ფედერერის გამოსახულებით 20-ფრანკიანი მონეტა მოიჭრება. მას ოფიციალურად 2020 წლის 23 იანვარს გამოუშვებენ, მაისში კი უკვე ახალი, 50-ფრანკის ნომინალი გამოვა, რომელიც მთლიანად ოქროსი იქნება.



ფედერერი პირველი შვეიცარიელი გახდა, რომელიც საიუბილეო მონეტაზე სიცოცხლეშივე გამოსახეს. 38 წლის ბაზელის მკვიდრს კარიერაში 20 გრანდ სლემი აქვს მოგებული, რაც სარეკორდო მაჩვენებელია, 2019 წელი კი მან მსოფლიო რეიტინგში მესამე ადგილზე დაასრულა.

ვიტალი ჯაფარიძე

სანთელი

ბიძინა გაბუნია

საქართველოს ვეტერან ენერგეტიკოსთა რიგებს გამოაკლდა ბრწყინვალე ენერგეტიკოსი, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი ბიძინა გაბუნია.

ბატონი ბიძინა გაბუნია დაიბადა 1927წლის 1 ივნისს ვანის რაიონში. 1954წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი. იმავე წელს განაწილებით მუშაობა დაიწყო ტყვარჩელ სრეს-ში მორიგე ინჟინრის თანაშემწედ.

1955-1984წწ. გაიარა თანამდებობრივი საფეხურები მორიგე ინჟინრიდან ელექტროსადგურის დირექტორობამდე. 1984წ. ინიშნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ელექტროქსელების მთავარ ინჟინრად.

1993წ. ცნობილი მოვლენების შედეგად მუშაობას აგრძელებს „საქენერგოს“ თბილისში დისლოცირებულ აფხაზეთის ელექტროქსელების მთ. ინჟინრის თანამდებობაზე, პარალელურად კოორდინაციას უწევდა აფხაზეთიდან დევნილ ენერგეტიკოსებს, ტექნიკურად ხელმძღვანელობდა იქ დარჩენილ თანამშრომლებს. იმავდროულად, შეთავსებით მუშაობდა დეპარტამენტ „საქენერგოს“ რემონტების სამმართველოს უფროსად. 1996წ. „საქენერგოს“ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მუშაობა გააგრძელა ახალჩამოყალიბებულ „საქენერგოგენერაციის“ რემონტების სამმართველოს უფროსად. 2005წლიდან პენსიონერია. მინიჭებული აქვს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლის წოდება.

ვუსამძიმრებთ მის ოჯახს და ახლობლებს.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი
საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი
საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაცია

მარინა ინოზემცევა, ნინიკო წერეთელი, ნაილი ზამბახიძე, მანანა ჩეჩელაშვილი, დარეჯან საყვარელიძე, მაია ბოკუჩავა, ნანი თოდუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი პიროვნების, საუკეთესო მეგობრის

გია აბესაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოში ყველაზე მეტად ხილი და თამბაქო, ასევე ღამის გასათევი მომსახურება გაძვირდა

ხილსა და ყურძენზე ფასები 30.3 პროცენტითაა მომატებული, თამბაქოს ნაწარმზე კი 29.9 პროცენტით.

წლიურად სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა 13.4 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 4.02 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზეც: ბოსტნეული და ბაღჩეული (16.2 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (15.4 პროცენტი), თევზეული (14.5 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (13.1 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (11.9 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (11.5 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (8.2 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (3.9 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (2.8 პროცენტი).

თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების ჯგუფის გავლენა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე ერთი პროცენტული პუნქტით განისაზღვრა. თამბაქოს გარდა, გაძვირდა ალკოჰოლური სასმელებიც (3.4 პროცენტი).

დასვენების, გართობისა და კულტურის ჯგუფში ფასები გაზრდილია შვიდი პროცენტით. ფასები გაიზარდა დასვენების, გართობისა და კულტურის ხანგრძლივი მოხმარების სხვა საქონელზე (11.6 პროცენტი), ასევე გასართობ და კულტურულ მომსახურებაზე (1.6 პროცენტი).

ტრანსპორტის ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 3.1-პროცენტიანი მატება, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (9.6 პროცენტი), სატრანსპორტო მომსახურებაზე (3.0 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (2.6 პროცენტი).

სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების ჯგუფში ფასები მომატებულია 7.4 პროცენტით. ფასები გაიზარდა საზოგადოებრივ კვებაზე (8.4 პროცენტი) და ღამის გასათევით მომსახურებაზე (1.0 პროცენტი).



დღესასწაული

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება



მართალ იოაკიმეს და ანას ტაძარში მიჰყავთ ასული მარიამი. მარიამი შედის წმინდათა წმინდაში, აი, ამ მოქმედებით იწყება ღმერთთან ადამიანთა მოდგმის შერიგების საიდუმლო. ადამის მოდგმას აურაცხელ ცოდვათა გამო აეკრძალა სამოთხეში შესვლა, ღვთის წიაღში ადამიანთა დაბრუნების საწინდარი სწორედ დედა ღვთისას დაბადება არის.

3 წლის მარიამი ტაძრად მიყვანების შემდეგ, გაამწესეს ქალწულთა სავანეში, რომელიც უძველესი დროიდან არსებობდა.

პატარა მარიამის ცხოვრებისეული წესი ღვთისადმი განსაკუთრებულ მოწიწებას აღძრავდა... ის ალიონზე დგებოდა, დღეში 3-ჯერ ლოცულობდა.

ამბობენ, რომ ქალწულ მარიამს წმინდა ანგელოზები ხშირად ეცხადებოდნენ, ყოველდღიურად ნახულობდნენ, ზეციურ საკვებს უძღვნიდნენ და ესაუბრებოდნენ... ხელსაქმედ ჰქონდა სელის და მატყლის დართვა, უმეტესწილად საღვთისმსახურო შესამოსელს აბრეშუმით ქარგავდა.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ ყოვლადწმინდა მარიამმა ქალწულების აღთქმა დადო ღვთის წინაშე, რომ დარჩებოდა ტაძარში და უფლის ნებას დაემორჩილებოდა.

გიული ლიპარტია

თბილისის ავტოპარკს ახალი ავტობუსები შეემატა

კახა კალაძემ ევროპის მოედანზე თბილისის მოსახლეობას „ISUZU“-ს მარკის 8-მეტრიანი და „MAN“-ის მარკის 10-მეტრიანი ავტობუსები წარუდგინა.

დედაქალაქის მერიამ ავტობუსები მუნიციპალური ავტოპარკის განახლების პროექტის ფარგლებში შეისყიდა. ავტობუსები euro 6 ემისიის სტანდარტის დიზელის ძრავზე მუშაობს და შშმ პირთათვის სრულად ადაპტირებულია.

38 ერთეული „ISUZU“-ს მარკის და 16 ერთეული „MAN“-ის მარკის ავტობუსი ეტაპობრივად ერთი კვირის განმავლობაში შემდეგ მარშრუტზე დაიწყებენ მოძრაობას: №7 – სოფელი დიღომი – მეტროსადგური „დიდუბე“, №12 – დიდი ლილო – მეტროსადგური „ისანი“, №13 – მეტროსადგური „დელისი“ – უნივერსიტეტის ქუჩა, №19 – ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონი – ზემო ფონიჭალა, №36 – ლოტკინის დასახლება – რკინიგზის გადასასვლელი ხიდი, №48 – ჟღენტის ქუჩა – რკინიგზის გადასასვლელი ხიდი, №54 – დიდი დიღომი, მეოთხე მიკრორაიონი – უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, №57 – სამგორის ქუჩა – კრწანისის ქუჩა, №65 – დოლიძის ქუჩა – რკინიგზის სადგური, №68 – 9 ძმის ქუჩა – სადგურის მოედანი, №75 – ზღვის უბნის მესამე მიკრორაიონი – მეტროსადგური „სარაჯიშვილი“, №77 – ტუბდისპანსერი – რკინიგზის სადგური, №80 – ორთაჭალის ქუჩა – ბარათაშვილის ქუჩა, №110 – მახათას მთა – რკინიგზის გადასასვლელი ხიდი, №122 – მუჯირიშვილის ქუჩა – სადგურის მოედანი.

ვარკეთილის საფეხბურთო ცენტრი გაიხსნა

ვარკეთილში ახალი საფეხბურთო ცენტრი დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა გახსნეს.

ცენტრის ტერიტორიაზე მოეწყო სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედანი 230-ლუქსიანი განათებით და მინი საფეხბურთო მოედანი განათებით. ასევე, 180-ადგილიანი ტრიბუნა, რომელიც აღჭურვილია შშმ პირთათვის განკუთვნილი პლატფორმით. აიგო ადმინისტრაციული შენობა გასახდელებით, მსაჯების, სამედიცინო, მწვრთნელების ოთახებით და სხვა საჭირო სივრცეებით.

საფეხბურთო ცენტრის მშენებლობა 2018 წლის შემოდგომაზე დაიწყო. პროექტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ფიფა-ს პროგრამა „ფორვარდის“ ეგიდით დაფინანსდა და მისი ღირებულება 2 223 174 ლარია.

რაც მთავარია, სპორტული კომპლექსით ვარკეთილში მდებარე საფეხბურთო სკოლების, სამოყვარულო გუნდები, ბავშვთა რეგიონული ნაკრებები უფასოდ ისარგებლებენ. გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდნენ ვარკეთილში მდებარე საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელები.

ტრამპს მელანია დაავიწყდა

ამის შესახებ სახალისო ვიდეო ტელეარხმა FOX 10 Phoenix-მა გაავრცელა.

ვიდეოკადრებში ჩანს, თუ როგორ მიდის ტრამპი ვერტმფრენთან და უცებ რაღაც ახსენდება. ჩერდება და მელანიას ელოდება. ჟურნალისტებმა ივარაუდეს, რომ აშშ-ის პრეზიდენტს ცოლი დაავიწყდა. ვიდეოს სახუმარო რეპლიკები მოჰყვა. „მელანიას დააგვიანდა და ყველა კაცმა იცის, ეს რაც არის", – წერს სოციალურ ქსელში ერთ-ერთი მომხმარებელი.

რომის პაპმა წინასაშობაო ვაჭრობა გააკრიტიკა

რომის პაპმა ფრანცისკემ ვატიკანში საკვირაო მესის დროს წინასაშობაო ვაჭრობა გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ხალხმა შობის წინ წარმოუდგენლად ჭარბ ხარჯვას წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს.

პაპი ფრანცისკეს განცხადებით, კონსუმერიზმი ადამიანებს არწმუნებს, რომ ცხოვრება დამოკიდებულია არა რწმენაზე, არამედ იმაზე, რაც მათ საკუთრებაშია.

„უნდა დავძლიოთ ცდუნება, თითქოს ცხოვრების აზრი დაგროვებაა", – განაცხადა მან და მორწმუნეებს მოუწოდა, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ დეკემბრის თვეში იმ თვალისმომჭრელ შეთავაზებებს, რაც საშობაოდ იქნება.

„როდესაც ნივთებისთვის ცოცხლობ, ისინი საკმარისი არასდროს არის. სიხარბე იზრდება და სხვა ადამიანები დაბრკოლებებად იქცევიან ხოლმე", – თქვა პაპმა და დასძინა, რომ დღეს მსოფლიოს უდიდეს ნაწილში ჭარბი მოხმარება „მეფობს".

პაპმა ადამიანების მიერ ჭარბი მოხმარების შესახებ „შავ პარასკევსა" და „კიბერ ორშაბათს" შორის საკვირაო ქადაგებაზე ილაპარაკა. ეს ის დღეებია, როდესაც მომხმარებლებს კომპანიები დიდ ფასდაკლებებს სთავაზობენ. აშშ-ის მოსახლეობამ „შავი პარასკევის" აქციის ფარგლებში ინტერნეტმაღაზიებში 7,4 მილიარდი დოლარი დახარჯეს რაც გასული წლის მაჩვენებელზე მილიარდი დოლარით მეტია.

ყველაზე მეტი ვიდეოკამერა ჩონგჩინგში

ჩინურ ქალაქ ჩონგჩინგში მსოფლიოში ყველაზე მეტი, 2,6 მილიონი სათვალთვალო ვიდეო-კამერაა დამონტაჟებული საჯარო სივრცეში, რომელსაც სამართალდამცავი უწყებები იყენებენ ადამიანთა სახეების სკანირებისთვის და ინახავენ გამოსახულებებს მონაცემთა ბაზაში დანაშაულის პრევენციისთვის.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ ჩონგჩინგის პოლიციის ოფიცერს ზაფხულში მიუვიდა შეტყობინება, რომ ქალაქში არსებული ვიდეო-კამერების ერთობლივმა მონაცემთა ბაზამ ამოიცნო 2002 წლის მკვლელობის საქმეში ბრალდებული ეჭვმიტანილი, რომელიც შემდგომში დააპატიმრეს.

ქალაქის სათვალთვალო სისტემა ახდენს იმ ადამიანების სახის სკანირებას, რომლებიც გადაადგილდებიან ქუჩებში. თითოეული ადამიანის სახე ინახება მონაცემთა ბაზაში, შემდეგ კი იქმნება ე.წ. ვირტუალური რუკა, სადაც აღნიშნული პიროვნებები გადაადგილდებიან და დაფიქსირებულნი არიან კამერების მიერ.

ერთიანი სათვალთვალო სისტემის დახმარებით, სამართალდამცავებმა შეძლეს 3 დღის შემდეგ 15-მილიონიან ქალაქში დაეკავებინათ მიმალვაში მყოფი ეჭვმიტანილი, რომელმაც საბოლოოდ ჩადენილი დანაშაული აღიარა.

ტაიფუნი ფილიპინებში

ფილიპინებში ტაიფუნის გამო, 200 ათასი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

ქვეყნის აღმოსავლეთ კუნძულებზე სტიქიამ ძლიერი წვიმის შედეგად წყალდიდობა გამოიწვია.

უსაფრთხოების წინასწარი ზომების შესაბამისად, შეწყვეტილია საჰაერო მიმოსვლა, დახურულია სკოლები და სამთავრობო უწყებები. ტაიფუნი „კამური" რიგით მეოცე ტაიფუნია, რომელიც ფილიპინებს მიმდინარე წელს დაატყდა თავს. სტიქიის ზონაში ქარის სიჩქარე საათში 150 კილომეტრს აღწევს.

მსხვერპლისა და მნიშვნელოვანი ზარალის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. ტაიფუნი არქიპელაგის ცენტრალური ნაწილისკენ გადაადგილდება.

100 კგ ნაგავი მკვდარი ვეშაპის კუჭში

შოტლანდიაში სანაპიროზე მკვდარი ვეშაპი გამოირიყა, რომლის კუჭშიც 100 კილოგრამამდე ნარჩენი იპოვეს. მათ შორის იყო თევზაობისთვის განკუთვნილი ბადეები, თოკები და პლასტმასის ნარჩენები.

სპეციალისტების თქმით, ჯერჯერობით უცნობია, იყო თუ არა ვეშაპის სიკვდილის მთავარი მიზეზი მის კუჭში აღმოჩენილი ნარჩენები.

ბოლო ანგარიშების თანახმად, შოტლანდიაში დელფინებისა და ვეშაპების სიკვდილის შემთხვევები გაიზარდა. 2009 წელს 204 შემთხვევა იყო რეგისტრირებული, 2018-ში – 930.

საახალწლო სათამაშოები საკონცენტრაციო ბანაკის ხედებით

AMAZON-მა დაიწყო საახალწლო ნაძვის ხის სათამაშოების გაყიდვა, რომელზეც აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის ფოტოებია გამოსახული. ამის გამო კომპანიას აკრიტიკებენ.

აუშვიცის მემორიალურმა მუზეუმმა Twitter-ზე გამოაქვეყნა პოსტი, რომლითაც ირკვევა, რომ Amazon-ზე ბანაკის გამოსახულებით სულ ცოტა ოთხი სახის სათამაშოს ყიდვაა შესაძლებელი. კომპანია კი აცხადებს, რომ ეს ნივთები იყიდება როგორც სუვენირები და ისინი განთავსებულია სხვადასხვა ქალაქის ღირსშესანიშნაობებით გამოსახული ნივთების გვერდით.

Twitter-ის ასობით მომხმარებელმა უკმაყოფილება გამოთქვა ნაცისტური გერმანიის სიკვდილის ბანაკის ამსახველი ნივთების Amazon-ზე გაყიდვასთან დაკავშირებით.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე" – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის" გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი"
577 991651
577 308847
შპს „მაცნე"
599 982777
„პლანეტა ფორტე"
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9675; ევრო - 3.2687;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8287;
100 რუბლი - 4.6163; თურქული ლირა - 0.5152;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7459;
1000 სომხური დრამი - 6.2095

ამინდი 4 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+9
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+3
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge